


# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, მტკიცე ბეჭდუდი სიფყვას, ფყილებით და ჭებრბით ბუბთის გაცანა ყუულა უჯადრბისბბაგე უსბბაგულსიბ.

**დაარსებულია**  
1918 წელს.

ოთხშაბათი, 14 მაისი, 2014 წელი.

№93 (7474)

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: [sakresp@mail.ru](mailto:sakresp@mail.ru) და [sakresp@wanex.ge](mailto:sakresp@wanex.ge) ვებ გვერდი: [www.open.ge](http://www.open.ge) ფასი 50 თეთრი.

## „ეს წმინდა ტაძარი შეგვასვენებს, რამდენად დიდია პასუხისმგებლობა ღვთისა და ერის წინაშე“



ბანბცხბდბ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მახათას მთაზე მშენებარე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიაში გუშინ პირველი წირვის დასრულების შემდეგ ქადაგებისას.

„- თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ყოვლად სამღვდელონო მღვდელმსახურნო, ყველას მოგესალმებით ქრისტეს მიერ სიყვარულით და აღვავლენთ მადლობას უფლის წინაშე ამ დიდი წყალობისათვის. იწყება კვირეული ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა, ღვთისმშობლის სადიდებელი. ჩვენ ვმადლობთ უფალს იმ დიდი წყალობისათვის, რომელიც მოგვივლინა ჩვენ წარსულში, დღეს და მომავალში გარდამოავლენს ჩვენს ზედა. ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ საქართველო გახდა წილხვედრი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა. ეს წმინდა ტაძარი და ეს წმინდა ლავრა, რომელიც შენდებ

წმინდა ადგილზე, კიდევ ერთხელ შეგვასვენებს ჩვენ იმის შესახებ, თუ ვინ ვართ, როგორი დიდი ფასეულობის მფლობელი ვართ ჩვენ, რამდენად დიდია მოწყალეობა ჩვენზედა და რამდენად დიდია პასუხისმგებლობა ჩვენი ღვთის წინაშე და ჩვენი ერის წინაშე. შენ იცი ჩვენი უძღურება, შენ იცი ჩვენი თვისებები“, - ბრძანა ილია მეორემ.

პატრიარქი ასევე მიესალმა მახათას მთაზე შეკრებილ ხელისუფლების წარმომადგენლებს და მრევლს და განსაკუთრებით უცხოეთიდან ჩამოსულ მოქალაქეებს.

მახათას მთაზე ტაძარი შემონიშნულობებით, ფონდ „ივერიისას“ ინიციატივით შენდებდა. ფონდის დამფუძნებელი და ხელმძღვანელია პაატა ბურჭულაძე.

„ყველას ვულოცავ დღევანდელ დღეს. ეს ის ტაძარია, რომელსაც მთელი საქართველო თითო ლარის შეწირვით აშენებს - ყველა თანაბრად. პირველი წირვა დღეს აღესრულა და ღვთის წყალობით დაემთხვა, რომ ივერიის ღვთისმშობლის მირონმდინარე ხატია ჩა-

მოზრძანებული. უწმინდესმა პარაკლისი გადაიხადა და დღეს მართლმადიდებელს ექნება შესაძლებლობა ემთხვიოს ხატს“, - განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

**მირონმდინარე ხატი საქართველოში 23 მაისამდე დარჩება**

ამერიკიდან ჩამოზრძანებული ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი, მირონმდინარე ხატი საქართველოში ბათუმისა და ლაზეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტ დიმიტრი შიოლაშვილის ხელმძღვანელობითა და პატრიარქის კურთხევით ჩამოაბრძანეს.

ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი მახათაზე გუშინ ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის მშენებარე ტაძარში წირვაზე დააბრძანეს.

მირონმდინარე ხატი საქართველოში 23 მაისს დატოვებს. მანამდე კი მოსალოცად იგი სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებში დაბრძანდება.

**„დემოკრატიის შუქურის“**  
**საორბული**  
**ბრწყინვალეა**

6  
7 - რა მოხდა 13 მაისს, ანუ როგორ ჩაულავდა ოპარატიონი „სანამ პრეზიდენტს ეძინა“

**სწორად სწორბბისა** 5  
**და ქვეყნის საკთილდლოდ**  
**მოღვაწეობის ბაბალითი**

**ნიკა ბბბრბბბბ** 3  
**ერთხელ კიდევ იბბბსუბ**

**რასაც ჩვენს ბაზეთში წაიკითხავ, სვბბბან ვბრ ნბბბბ!**

# ფრანსუა ოლანდი საქართველოში ჩამოვიდა



**ბუშონი საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი კავკასიური ტურნეს ფარგლებში საქართველოს ეწვია. თბილისის აეროპორტში საფრანგეთის პრეზიდენტს დახვდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიაი ფანჯიკიძე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლაშა აბაშიძე, სხვა ოფიციალური პირები.**

ამასთან, როგორც „ინტერპრესნიუსს“ კორესპონდენტი იუსუყბა, ძლიერი წვიმის გამო, სტუმრის დახვდნისთვის გამზადებული წითელი ხალიჩის აღება გახდა საჭირო.

საფრანგეთის პრეზიდენტს თავდაპირველად პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი შეხვდა. ამის შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტს ქართველმა კოლეგამ გიორგი მარგველაშვილმა უმასპინძლა. პრეზიდენტის სასახლეში ფრანსუა ოლანდის დახვდნის ოფიციალური ცერემონია გაიმართა, რის შემდეგაც ორი ქვეყნის ლიდერები ერთმანეთს პირისპირ და გაფართოებული შემაჯავებელი შეხვედრები შეხვდებიან. შეხვედრის შემდეგ გიორგი მარგველაშვილმა და ფრანსუა ოლანდმა ერთობლივი პრეს კონფერენცია გამართეს.

ფრანსუა ოლანდმა შეხვედრები უკვე გამართა ბაქოსა და ერევანში.

## გაიხსნა საქართველო-საფრანგეთის ეკონომიკური ფორუმი

**ფორუმის ორგანიზებას უწევს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, საფრანგეთის საელჩო, საფრანგეთი საქართველოს საგაერო და სამრეწველო პალატა და საქართველოს თანაინვესტირების ფონდი. ფორუმში როგორც ქართული, ისე ფრანგული მხრიდან საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები მონაწილეობენ.**

ეკონომიკურ ფორუმზე საქართველოს ეკონომიკის ძირითად მიმართულებებზე კონცენტრირებული რამდენიმე თემატური პანელი იქნება წარმოდგენილი. ფორუმის მომსახურებლებს შორის არიან საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი და საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი, ასევე სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსანდრე პეტრი-აშვილი, ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი გიორგი პერტაია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვიციანიშვილი, საფრანგეთის ელჩი საქართველოში რენო სალენსი, თანაინვესტირების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ბაჩიაშვილი.

ფორუმის ყველაზე მნიშვნელოვანი სტუმრები არიან საფრანგეთის პრეზიდენტი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი. საფრანგეთის პრეზიდენტს თან

ახლავს ფრანგი ბიზნესმენები. ჩვენი ძირითადი ამოცანაა, მათ გავაცნოთ საქართველოს ბიზნესის შესაძლებლობები. ის ციფრები რაც არსებობს საფრანგეთიდან საქართველოში ინვესტიციებისა და ვაჭრობის მხრივ ძალიან დაბალია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი ამისა არის ის, რომ ფრანგმა ბიზნესმენებმა არ იციან, რა ხდება საქართველოში. ისინი ზოგადად რეგიონს უყურებენ, რომ ის საკმარის არასტაბილურია, მით უმეტეს ახლა. ჩვენი მიზანია, მათ დავანახოთ, რომ საქართველო საკმარის სტაბილურია და კარგი ადგილია ბიზნესის საკეთილად, — განაცხადა საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი პერტაიამ.

ლონისძიების ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ შეთანხმებების ხელმოწერა.



## გახლეჩილი საქართველო პრობლემები საოკუპაციო გამყოფ ხაზთან

**შიდა ქართლში, ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე სოფლებში, უამრავი გადაუჭრელი პრობლემა ადგილობრივი მოსახლეობა, პირველ რიგში, უსაფრთხოების გარანტიას ითხოვს. ამ დრომდე საშურის რაიონის სოფელ წაღვლში უშედეგოდ ელოდებიან წ დღის წინ დაკავებული თანსოფელელების გათავისუფლებას. ვასილ კილაძე და რომან ლომიძე ტყვეში ჯონჯოლის საკრეფად იყვნენ წასული, როცა რუსეთის მეზღვრეებმა ეგრეთ წოდებული**

დახმარებას სთხოვეს.

ზარდიანთკარში ადგილობრივი მოსახლეობა, დაახლოებით ერთი წლის წინ დაბრუნდა. მანამდე ზარდიანთკარელები გორის საბავშვო ბაღებში ცხოვრობდნენ, რადგან სოფელი ოკუპირებული იყო. სოფელში დაბრუნებულ ზარდიანთკარელებს სახლები დაზიანებული და გაძარცვული დახვდათ.

სოფელ ნიქოში ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქცეულ ნაკვეთებს ვერ ამუშავებენ. ნიქოზე



**საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს. ბოლო დროს საჩხერისა და საშურის მუნიციპალიტეტების სოფლებიდან საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა 20-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე დააკავეს. ერთ-ერთი დაკავებულია ვასილ ლომიძე აცხადებს, რომ ცხინვალის მათთან კავშირზე არაფერს გადის და ოჯახში არ იციან, დაკავებული რამდენიმე თვეა იმყოფება.**

საშურის რაიონის სოფელ წაღვლში ძირითადად მეცხოველეობას მისდევს. სოფელს არა აქვს გაზი, ამიტომ ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს ტყეში გასვლა ადგილობრივებს შეუძლია დასამზადებლად უწევთ ხოლმე, სეზონზე კი ჯონჯოლის შეგროვება და რეალიზაცია წაღვლელეზისთვის დამატებითი შემოსავლის წყარო ხდება, თუმცა, ეს საქმე საკმაოდ რისკიანია. წაღვლეს მცხოვრები კობა კილაძე აცხადებს, რომ სოფელს მეტი ყურადღება და უსაფრთხოება სჭირდება.

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთში სარწყავი წყლის, გაზიფიცირებისა და მოუწესრიგებული გზების პრობლემების მოგვარებას ითხოვენ. ადგილობრივი მოსახლეობა მიგრაციის პრობლემაზეც ამახვილებს ყურადღებას და ხელისუფლებას

ბი ხელისუფლებას უსაფრთხოების ზომების გამკაცრებას სთხოვენ და დაკარგული ნაკვეთების სანაცვლოდ ალტერნატიულ ფართებს ითხოვენ.

ცოტა ხნის წინ ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე სოფლებში სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილმა მოიარა და ქართულ სოფლებში მცხოვრებლებს იმ პროექტების შესახებ ესაუბრა, რასაც ხელისუფლება საერთაშორისო დონორების დახმარებით ამ სოფლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აკეთებს. ზაქარეიშვილის თქმით, პირველი რიგის ამოცანაა კონფლიქტის ზონის სოფლების გაზიფიცირება და სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემების გადაჭრა.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე სოფლებში წინასაარჩევნო აგიტაციას ატარებენ, ამ სოფლების მცხოვრებლები კი მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრას ითხოვენ.

**გობა ავციანური,**  
რადიო „თავისუფლება“

## ვითარება

# დაგვიდგება კრიტიკული ზღვარი?

## სორბალი კვირდება. პური - ჯერ არა

**რუმინი მოსალოდნელი იყო, საერთაშორისო ბირჟებზე სორბალის გაძვირება. ამის მიზეზი მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნის - უკრაინის კრიზისია. საქართველოში 1 ტონა ფქვილის ფასი დაახლოებით 1,5 ლარით გაძვირდა, თუმცა პურპროდუქტების ბაზარზე ეს გავლენას არ მოახდენს. მეპურეებს ჯერ კიდევ აქვთ დაახლოებით 8-9-ლარიანი რესურსი. კრიტიკული ზღვარი 1 ტონაზე 45 ლარია.**

უკრაინაში არსებული დაძაბულობა მსოფლიო ბაზარზე სორბლის გაძვირების მიზეზი ხდება. „ბლუმბერგის“ ინფორმაციით, ჩიკაგოს ბირჟაზე ტონა სორბალი 3,4%-ით გაძვირდა და 272 დოლარს გადააჭარბა, რაც 2013 წლის მარტის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

უკრაინა სორბლის უმსხვილეს ექსპორტიორებს შორის მე-9 ადგილზეა, რის გამოც იქ არსებული კრიზისი მსოფლიო ბირჟებზე უარყოფითად აისახება.

**ცნობისთვის:** უკრაინაში 2013 წელს მარცვლეულის რეკორდული მოსავალი - 63 მილიონი ტონა აიღეს, რომლის ძირითადი ნაწილი ექსპორტზე ევროკავშირში, აზიასა და დსთ-ში გავიდა.

ამერიკელი ტრეიდერები მიიჩნევენ, რომ უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო უკრაინული სორბლის ექსპორტი და მოსავლის აღების კამპანია მნიშვნელოვანი დარტყმის ქვეშ აღ-



მოჩნდება. ქვეყნის აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენებმა უკვე იქონია გავლენა და სორბალზე ფასები გაიზარდა.

მსოფლიო ბაზარზე ფასების ზრდის ფონზე სორბლის გაძვირება დაინდო საქართველოშიც. მეზღვრეული ასოციაციის თავმჯდომარის ლევან სილაგავას განცხადუ-

ბით, ფოთში შემოტანილი სორბლის ფასი, წინა თვის მაჩვენებელთან შედარებით, 10-20 დოლარის ფარგლებშია გაზარდილი. სილაგავას განმარტებით, აპრილში ფოთში შემოტანილი 1 ტონა სორბლის ღირებულება 280 დოლარი იყო, თუმცა, ამჟამად 1 ტონა სორბლის ღირებულება უკვე 300 დოლარამდეა. ფქვილზე ფასის მატება დღეისათვის შესაძლებელი არ არის, თუმცა, რამგამა საწარმოებმა 1 ტონა ფქვილი ფასი 1 ლარის ფარგლებში უკვე გააძვირეს. ლევან სილაგავას ინფორმაციით, წისქვილებიდან პურის ქარხნებზე ფქვილის გასაცემი ფასი დღეისათვის 35,5-38 ლარის ფარგლებშია.

რაც შეეხება პურის ფასს, მეპურეების ინფორმაციით, მათთვის კრიტიკული ნიშნული პურის ფასის განსაზღვრულად 44-46 ლარია. შესაბამისად, დღეს არსებული ფასები, პურის მწარმოებლებს პურის ფასის გაზრდას არ „აიძულებს“, რადგანაც მწარმო-

ებლებმა პურის ფასის გაძვირება რომ დაიწყონ ფქვილის ფასმა 20%-ით უნდა მოიმატოს.

**„ბირჟებზე ფასის გრძელვადიანი ზრდის შემთხვევაში (სორბალზე ფასის) ფქვილის ფასი ტომარაზე შეიძლება 1-2 ლარით გაიზარდოს, რაც უახლოეს პერიოდში პურის ფასზე არ იმოქმედებს, — აცხადებს ლევან სილაგავა.**

ალსანიშნავია, რომ დღეს საქართველოში სორბალი ძირითადად რუსეთიდან (დაახლოებით 70%) და უკრაინიდან (30%) შედის. თუმცა, წლების წინათ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მომწოდებელი ყაზახეთი იყო. მართალია, შუა აზიური მარცვლეული მაღალი ხარისხით არ გამოირჩევა, მაგრამ, სამაგიეროდ, იაფია. ასე რომ, სორბლის უპრეცედენტოდ გაძვირების შემთხვევაში, ყაზახეთიდან შედარებით იაფი პროდუქტის შემოტანაც შეიძლება. მსოფლიო ბაზრის ტენდენციებიდან გამომდინარე, მარცვლეული შუა აზიაშიც გაძვირდება, თუმცა, იგი მაინც იაფი ელირება, ვიდრე რუსული ან უკრაინული.

**გამა დანელია**

© ისპ – მოსკოვზე

ძველ ქართულ ენაში „ძმაცუა“ ვერაგობას, მზავრობას, ხოლო „იმაცუა“ ივერაგობას ნიშნავს. ეს სიტყვა ზედგამოჭრილად მიმაჩნია ნიკა გვარამიას მთელი საქმიანობის დასახასიათებლად. როდესაც მას საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეკავა, მათ შორის სრულიად დაუმსახურებლად გენერალური პროკურორის მოადგილისაც კი, იგი მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, როგორ დაეშინებინა მთელი ჩვენი მოსახლეობა. ეს „განათლებული“ თავი საუკულებით ათასგვარ ქსელებს ხლართავდა, რათა „გაეპრაგვიანებინა“ ნაციონალური მოძრაობის მიერ ჩადენილი დანაშაულები. მისთვის ყოველთვის უცნო იყო მუდმივი მოვალეობა – სამშობლოს ერთგული სამსახური. მაგრამ რას იზომ, პათოლოგია არ იკურნება.

ყოფილმა პრეზიდენტმა, როდესაც შეიტყო, რომ თავისი საქმე წასული იყო და საქართველოში ცხოვრების იმედიც გადაეწერა, სასწრაფოდ მისთვის ხელსაყრელ თანამდებობებზე სანდო კაცები დაინიშნა, რათა გარედაცემართა თავისთვის სასურველი პროცესებიც და ქვეყანაში ისევე არევადაც შეეძინა. ასე მოგვევლინა ნაფთალინაყრილი ნიკა გვარამია „რუსთავი-2“-ის თავმჯდომარე. მას შესანიშნავი შანსი მიეცა, ახლა მაინც შეეფურთხებინა ეშმაკისათვის და ერთგულად ემსახურა მშობელი ხალხისთვის და მხოლოდ სიმართლის თქმით (სხვას მისგან არაფერს მოითხოვენ) მხარში ამოღებოდა ახალ მთავრობას, პირადად პრემიერ-მინისტრს ირაკლი ლარიბაშვილს, რომელსაც შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით უაღრესად რთულ სიტუაციაში უწევს მუშაობა, მაგრამ „რუსთავი-2“-დან ისევე სიცრუის, ტყუილების ნიაღვარი მოედინება. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ მტერს იმდენი ზიანი არ მიუყენებია საქართველოსთვის, რამდენიც მიაყენა „რუსთავი-2“-ის არხმა. დღიდან მისი დაარსებისა, ეს ტელეარხი ერის ორგანიზმის სამუდამო გატეხას, მის ფიზიკურ და სულიერ განადგურებას ცდილობდა.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა ყველა პირობა შეუქმნა ამ ტელევიზიას, რათა იგი მოესყიდა და თავისი ბინძური საქმეების უსიტყვო აღმსრულებლად და თანამონაწილედ გაეხადა. ტელევიზიას ჩამოანგრეს ათეულ მილიონობით ლარი, მის ეკრანზე მხოლოდ მეტად საეჭვო ქცევის გოგო-ბიჭები ჩნდებოდნენ, რომელთაც თავზე წამოიცივს მორალი და ზნეობა. სააკაშვილმა კარიერის დასაწყისში, როდესაც იგი იუსტიციის მინისტრი გახდა, თავისი კაბინეტის ფოიეში და მთლიანად კორიდორში მოაწყო ფოტოსურათების გამოფენა: „ჩვენი მეგობრები გვსტუმრობენ“. სურათებში სააკაშვილი გადაღებული იყო „რუსთავი-2“-ის ყველა წამყვან

# ნიკა გვარამია ერთხელ კიდევ იმასსუა

თანამშრომელთან ერთად, რა თქმა უნდა, მეგობრულ პოზებში. მოკლედ, ამ არხზე მომუშავე ჟურნალისტები: ინგა გრიგოლიამ, ეკა ხოფერიამ, მიაა ასათიანმა, ნინო შუბლაძემ, რომელთა კოპორტა ამჟამად ეკა კვესიტაძითა და ნა-



ნუკა ჟორჟოლიანით შეივსო, ერთი ფაქტობრივად დაავადდა. ისინი გარეგნულად ცდილობდნენ მამა აბრამის ბატონები ყოფილიყვნენ, მაგრამ, როდესაც ნაციონალური მოძრაობას დასჭირდებოდა თავიანთი ბინძური საქმეების კეთება, ყველაფერზე მიდიოდნენ. რად ღირს თუნდაც ორლობის დედაკაცივით ჟურნალისტი აკაკი გოგიაშვილის გადაცემა „60 წუთი“. თუ მას კიდევ შეჩვენია სინდისის ნატამალი, ახლა მაინც აღიაროს ვინ შეუკვეთა ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრის, პროფესორ ვალერი ასათიანის შესახებ სრულიად აბსურდული მკომპრომეტირებული მასალა, ან რკინიგზის მეურნეობის უბადლო სპეციალისტის, საქართველოს რკინიგზის ხელახლა ამშენებლის ბატონ აკაკი ჩხაიძის შესახებ ბინძური გადაცემა, მაგრამ ამის ვაჟკაცობა არა მგონია მას ეყოს. „რუსთავი 2“-ს დღემდე ბატონი ვალერი ასათიანისათვის ბოდიშიც არ მოუხდია, რაც მას სამართლოდ მიუსაჯავს.

ახლახან ნიკა გვარამიამ ქვეყანას ამცნო, ადამიანების ფარული მოსმენები გრძელდებოდა და კადრებიც აჩვენეს ტელევიზიით. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „ქართულ ოცნებას“ ეს კადრები არაფერში ჭირდებოდა. ყველაფერი უფ-

რო იმაზე მიუთითებს, რომ ეს ძველი ხელისუფლების ნახელავია და გამოცხადებული არ არის „რუსთავი-2“-ის თავკაციც ამ საქმეში იყოს გარეული. ამის შესახებ თავად ნიკა გვარამია ისე განიშმატდა, რომ ეკრანიდან დაიწყო მუქარა:

ჯოჯოხეთს მოგინებოთ! რაც ნაციონალურმა მოძრაობამ თავის ხალხს ჯოჯოხეთი მოუწყო, როგორც ჩანს, გვარამია იმას არ კმარობს. როგორც გვჩვენებია, ატყავს ერთი დავიდარაბა და სატელევიზიო გადაცემები და პრესა ერთი კვირაა ამ თემით კვებავს მოსახლეობას. ერთ-ერთ გადაცემაში ბატონმა დავით დარჩიაშვილმა ცხელი მოწოდება გააკეთა, როგორც ჩვენც ვხედავთ,

ყველაფერი ხელისუფლებას დაავალა – კონკრეტული პასუხისმგებლობა მან უნდა აიღოს, თანაც დაამატა, ზენოლას ახორციელებენ თავისუფალ მედიანო. მან გადაცემაში მომღერლის, რაღაც მუსიკალურ ინსტრუმენტზე დამკვრელის, პარლამენტარ გოგა ხაჩიძის „ექსპერიმენტიც“ გაიხსენა, როდესაც მან ფარული მოსმენების გამოსაგვლენად ნაცონებს დაურეკა, ხვალ პრემიერ-მინისტრის სახლთან აქციას აწყობენო. ამ სანყალ მუსიკოსს დაავიწყდა, რომ პრემიერ-მინისტრის საცხოვრებელ სახლს ყოველთვის იცავენ პოლიციელები და გადაცემული უწყებების მუშაკებიც. დაამატებით პოლიციელების რაოდენობა თუ რაზმი მთავრობის მეთაურის სახლთან კი არ მისულა. დარჩიაშვილმა ხაზი გაუსვა, პარლამენტარებს უსმენენო, მაგრამ საკითხავია, ვის რაში სჭირდება ხაჩიძის მოსმენა. ბატონმა დავითმა შესანიშნავად იცის, რომ თავის დროზე ხაჩიძის მინისტრად დანიშნვა სრული გაუგებრობა იყო. ამის შესახებ ღირს ერთი ანეკდოტიც გავიხსენოთ: გურულს უთხრეს: ლენინს ბავშვობაში მუსიკა უყვარდაო. გურულმა მიუთხო: გაყოლოდა მერე მუსიკას, კაცი გამოვიდოდაო. დარჩიაშვილმა, ალბათ, ისიც იცის, რატომ დანიშნეს ეკონო-

მიკის და მდგრადი განვითარების მინისტრად ვერონიკა ქობალია და ისიც ეცოდინება, რომ ნაციონალურების მიერ უამრავი მოსმენა და ჩანაწერი უშუალოდ სააკაშვილის მიუთითებლად არ გაკეთებულა.

დარჩიაშვილი ყოველი გამოსვლისას ნირშეუცვლელად იმდენ ტყუილს ახვავებს, რომ ადამიანს სურვილი ებადება პირზე პამპერსი გაუკეთოს, რათა მისი ნალაპარაკები ისევე მასთან დარჩეს.

ერთი რამ ცხადია: ახალმა ხელისუფლებამ ყველა ჩვენგანს რომ მოუსმინოს, მიუხედავად ამისა, დარჩიაშვილს, ბოკერიას, ხაჩიძეს და თავის სასარგებლოდ თავგზააბნეულ ნაციონალებს არავითარი მორალური უფლება არ აქვთ მოსმენა-ჩანაწერებზე ილაპარაკონ. მათ არასოდეს ხმა არ ამოუღიათ, როდესაც ფხვკვეშთელადან ადამიანურ უფლებებს. ახლად თავს კი ვერაგინ იშობს.

დასასრულ, გარკვევით უნდა ითქვას, რომ სანამდე ნაციონალებს თავის ადგილზე არ მოგვამთ, მანამდე ვერც ეკონომიკაში, ვერც სოციალურ სფეროში, ვერც პოლიტიკაში, ვერც სულიერ ცხოვრებაში წინ ვერ წავინევთ. ეს ძალა მხოლოდ ნგრევისთვისაა მოწოდებული. ხალხი სამართალს ითხოვს, რადგან მხოლოდ სამართლიან სახელმწიფოში შეიძლება ახლის შენება და თვით ადამიანთა გამრავლებაც კი. ვახტანგ VI-ის სამართალი გვახსენებს ჩვენი წინაპრების დატოვებულ ანდერძს: „უსამართლობა ამა სოფელსა კაცსა უძეოდ აღმოჭნურის და გარდაავლინებს, დღეთ სიგრძობასა მოუკლებს, ქვეყანას აუოხრებს, ცანი ცვარს დააკლებენ და ქვეყანა – ნაყოფს, ამ სოფელს შეარცხვენს და იმ სოფელს წაასწყემდს და საუკუნო სატანჯველს დაუმკვიდრებს.“

ესენი ყველაყა უსამართლობისაგან გამოვლენ და სამართლის ქნა მეფესა და მსაჯულს ამ ყოველის ბოროტისაგან შორედ ჰყოფს და განსდევნის“. დღი რუსთაველი კი ამბობს: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადა“.

ანზორ თოთაძე.

**P. S. ნიკა გვარამიამ ტელევიზიით გაამცნო: ძალიან დიდ დისკომფორტში გაგიარეთ ეს კვირაო. იმაზე თუ დაფიქრებულხართ, ბატონო ნიკა, რომ ცხრა წელიწადი ქვეყანა საშინელ დისკომფორტში ცხოვრობდა. დროა, ნაციონალებმა ძველი ბერძენი ფილოსოფოსის სენეკას სიბრძნე შეისმინოთ: უსამართლობა ძალაუფლება დროებითია.**

© SIC!

## საპენსიო რეფორმა - რა მოდელს აირჩევს საქართველო?

ბ(ო)ლო წლების განმავლობაში სულ უფრო აქტიურ ხანს იძენს დისკუსია საქართველოში საპენსიო სისტემის მოქმედი მოდელისგან განსხვავებული სქემის ამოქმედების აუცილებლობაზე.

ამჯერად ეკონომიკის სამინისტროში შეიქმნა საპენსიო რეფორმის საკოორდინაციო ოფისი, რომელიც მოუშობს სავალდებულო და ნებაყოფლობითი სადაზღვევო საპენსიო სისტემის შექმნაზე. ნავარაუდევია, რომ ეს პაკეტი პარლამენტში შემოდგომაზე შევა განსახილველად.

დღეის მდგომარეობით, პენსიის გაცემის საფუძველი მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტია. ამ მოდელს საპენსიო უზრუნველყოფის სოლიდარული პრინციპებზე დამყარებული პქვია, როდესაც პენსია ბიუჯეტიდან ფინანსდება, რასაც, თავის მხრივ, შრომისუნარიანი მოქალაქეების გადასახდელები ავსებს. 2014 წლის მდგომარეობით, საპენსიო უზრუნველყოფაზე საქართველოში მილიარდ სამას მილიონზე მეტი ლარი მიემართება. ეს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 14.6 პროცენტია. საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე დაანგარიშებით, ეს თანხა, დაახლოებით, 260 ლარს შეადგენს, ერთ დაქირავებულ დასაქმებულზე კი – 1750 ლარამდე წელიწადში. ეს ნიშნავს, რომ ერთი დაქირავებული დასაქმებული ყოველთვიურად 1 პენსიონერზე მეტს ინახავს.

მსოფლიო ბანკის დასკვნით, დემოგრაფიული ტენდენციების გათვალისწინებით, საქართველოს რამდენიმე წელიწადში გაუჭირდება არსებული საპენსიო ვალდებულებების დაფარვაც კი. რადგან მოსახლეობა მთელ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოშიც ბერდება და, შესაბამისად, საპენსიო



ასაკის მოქალაქეთა რაოდენობაც იზრდება, შესაბამისად იზრდება სახელმწიფო ვალდებულებებიც ამ მიმართულებით. ანუ გვაქვს სიტუაცია, როცა პენსია ვერც პენსიონერთა ღირსეულ სიბერეს უზრუნველყოფს და, მეორე მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტსაც საკმაოდ ძვირი უჯდება. ამიტომ მთავრობები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში ფიქრობენ საპენსიო რეფორმაზე და არაერთგან – მაგალითად, ჩვენს მეზობელ სომხეთშიც – ახორციელებენ რეფორმას, რომელიც დღეს არსებული, ანუ სოლიდარული, სისტემიდან დაგროვებითზე ან შერეულ სისტემაზე გადასვლას გულისხმობს.

დაგროვებითი მოდელის დროს დასაქმებულები თანხები საპენსიო შენატანებით უზრუნველყოფენ მომავალ პენსიას. პენსიის მოცულობა კი დამოკიდებულია საპენსიო შენატანის სიდიდესა და საპენსიო ფონდების მიერ განხორციელებული საინვესტიციო სტრატეგიის წარმატებასა და ფინანსური მარვენებლებზე. იქ, სადაც ეკონომიკა მზარდია და ფინანსური ბაზრები – განვითარებული, ეს მოდელი ამართლებს, რადგან დაბანდებული პენსია მაღალ სარგებელს იძლევა. თუმცა, მეორე მხრივ, იმ ტიპის ეკონომიკებში, როგორც საქართველოა, სადაც ინფლაცია და რისკები დიდია, დაგროვითი რესურსი შეიძლება გაუფასურდეს კიდევ. სწორედ ამიტომ ზოგიერთი ქვეყანა შერეულ მოდელს ირჩევს, სადაც, ერთი მხრივ, არსებობს სოციალური პენსია (ანუ მინიმალური პენსია), ხოლო მეორე მხრივ, სოციალური შენატანებზე დამოკიდებული.

ხელისუფლებას, თუ იმ მართლაც გადაწყვეტს საპენსიო რეფორმის განხორციელებას, მოუწევს არაერთ კითხვაზე პასუხის გაცემა, მათ შორის: რა მოდელს აირჩევს საქართველო, რა ასაკის მოქალაქეებს შეეხება ეს ცვლილება, როგორი იქნება რეფორმის განხორციელების ვადები. მოუწევს დათვალოს რისკები და მოსალოდნელი შედეგები და, ამასთან, კარგად გაიაზროს საერთაშორისო გამოცდილებაც, რომელიც მსგავსი რეფორმების გზაზე არსებულ არაერთ პრობლემას გვაცნობს.

ნიკო ეპაინიძე, რაიო „თავისუფლება“

© შავთახეხი

ჰაერში გაშვებული საღებო საკითხები

ყაზახური ვალუტის დაანგარიშება ვერ ხერხდება

საბარტოველს ფინანსთა სამინისტრომ ყაზახეთის წინაშე არსებულ სახელმწიფო „ყაზახანს-გაზ-თაილისის“ ვალს ითვლის, მაგრამ ახირ უპი ვი რამდენიმე თვეა, ვერაფრით ვერ დათვალა. უფრო სწორად, ძარბაზით და ყაზახსი მოხელეების ნაანგარიშები ერთმანეთს არ ემთხვევა. მართალია, ფინანსთა მინისტრმა ყაზახეთში მოიარა, მაგრამ ამ კუთხით წინსვლა არ ხორციელდა.

„ორი მიმართულებით ვმუშაობთ, ერთი არის საქართველოს სახელმწიფოს ვალი ყაზახურ მხარესთან და მეორეა, ვალი საქართველოს სახელმწიფოს წინაშე. მიმდინარეობს მუშაობა, სვავდასხვა ციფრები და ვერ შევთანხმდით, იმიტომ, რომ დათვლის სხვადასხვა მექანიზმი არსებობს, ჩვენ ვითვლით პარიზის კლუბის წესების შესაბამისად, რისი ვალდებულებაც გვაქვს, ყაზახური მხარე კი არ აღიარებს პარიზის კლუბის ვალდებულებას, ამიტომ საჭიროა მოლაპარაკებები“, — განაცხადა ნოდარ ხადურმა ყაზახეთში გამგზავრების წინ და, როგორც ჩანს, ახლაც იმავე პოზიციაზეა.

„ყაზახანს-გაზ-თაილისის“ გენერალური დირექტორი სანჟარ შოკატაევი კომპანიის დაბრუნებას მხოლოდ იმ პირობით თანხმდება, თუ კომპანია 40 მილიონ დოლარს გადაიხდის. მისივე მტკიცებით, თავის დროზე ვახი კალაძის ვიზიტი ყაზახეთში მხოლოდ ფორმალურია იყო.

როგორც ცნობილია, გასული წლის ივნისში, ენერჯეტიკის მინისტრმა განაცხადა, რომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „ყაზახანს-გაზ-თაილისის“ ყაზახური მენეჯმენტისთვის დაბრუნების შესახებ, თუმცა, მას შემდეგ ამ პროცესში არავითარი სიახლე არ ყოფილა.

შოკატაევი მოითხოვს, რომ ის გადასახადები, რასაც კომპანია ამ წლების განმავლობაში ბიუჯეტში იხდიდა, ვალის დაფარვაში ჩაითვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კომპანიას არ დაიბრუნებენ.

„თბილგაზი“ 2006 წელს 12 მილიონ დოლარად გაიყიდა. 2009 წლიდან კი, 80-მილიონიანი ვალიანების ამოსაღებად, კომპანიაში დროებითი მმართველობა მოქმედებს.

ერთია „ყაზახანს-გაზ-თაილისის“ ვალი საქართველოს მთავრობის წინაშე და მეორე — საქართველოს ვალი ყაზახეთის რესპუბლიკის წინაშე. ესეთი და რიგით, ვალეები ერთმანეთში უნდა გაქვითულიყო. სწორედ აქ არის გაურკვეველობა და ვალეების მოცულობის დადგენა ვერ ხერხდება დღემდე, შესაბამისად, ორივე საკითხი ჰაერშია გამოკიდებული.

ყაზახეთის ელჩი ერმუხამედ ერთისბაევი ამ რამდენიმე თვის წინათ კონკრეტულ ციფრებს ასახელებდა: „როცა 2005 წელს შედგა ყაზახეთის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში, მაშინ საქართველომ აიღო ვალი ყაზახეთისგან 25 მილიონი დოლარი. 2005 წლის და 2013 წლის დოლარს შორის განსხვავებაა. ეს ყველაფერი დათვლილია. ამიტომ მუშაობენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში პასუხისმგებელი თანამშრომლები. მხარეებს შორის 6 თვის წინ მიდიოდა ინტენსიური მოლაპარაკებები. ქართული მხარე ამბობდა, რომ ვალი არის 40 მილიონი დოლარი, ხოლო ყაზახური მხარე აცხადებდა, რომ ვალი 55 მილიონი აშშ დოლარია. ეს საკითხი არის მოლაპარაკების საგანი“, — ამბობდა ელჩი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე კი სრულიად სხვა მონაცემებია: 2014 წლის მარტის მდგომარეობით, ყაზახეთის წინაშე საქართველოს ვალი 27,7 მლნ აშშ დოლარია.

ბამბა დაწვლია



© მკვახე შიქანილი

შაობდეს აღმზრდელად საბავშვო ბაღში?

გამორიცხული არ არის, ვინმე პრინციპულმა ლიბერალმა პარლამენტარმა თქვას კიო. მაშინ უნდა ვურჩიო მას, საკუთარი შეილება და შეილი შეილების აღმზრდელად მიიწვიოს ასეთი ზნეობის მქონენი.

3. საბავშვო ბაღის აღმზრდელებსა და სკოლის მასწავლებლებს სამსახურში მიღებისას მოეთხოვებათ (ამდენნაშ ასე იყო) სამედიცინო ცნობის წარმოდგენა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მითხარით, ერთი, ქრონიკული ინფექციური დაავადების მატარებლები (მაგალითად, ქლეიქიანები, ვეთროვანები) დაიშვებიან თუ არა აღმზრდელად და მასწავლებლებად საბავშვო ბაღებსა და სკოლებში? ამ დაავადებულთა-

მტკიცებაში მდგომარეობს. თქვენს მიერ მიღებული, თქვენსავთ თავზე გადასახევი ე. წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, სწორედაც, ჩვენი ერის ზნეობრივი მრწამსის რადიკალური შეცვლისკენ არის მიმართული. როგორ შეიძლება ქვეყანაში დამკვიდრებულ ზნეობასა და საკაცობრიო ღირებულებებს უზნეოთა ბანდები ებრძოდნენ და ეკლესია დუშმდეს! არც დუმს, მაგრამ თუ ხედავთ, როგორი სიყვარული და არა აგრესია მოდის ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელისაგან. „როგორ შეიძლება უკანონობა დააკანონო, — განაცხადა ქართული ეკლესიის პატრიარქმა, — ურწმუნოების დაკანონება დიდი ცოდვაა... არც ერთი მორწმუნე ადამიანი არ მიიღებს ამას, ასეთ კანონს და მინ-

საპარტიკლოს პარლამენტი უკვე არალეგიტიმურია



ვის გარკვეული პროფესიული ზნეულდების დანესება თუ დისკრიმინაცია დიგანიათ, მაშინ რაღა მეთქმის, გარდა იმისა, რომ, გისურვოთ: ამ გამორჩეულად ამნაირები ოჯახში, რათა თქვენი უკიდევანო ლიბერალისტობა დაიკმაყოფილო.

არა! თქვენ ყველაფერი კარგად გესმით. ისიც, რომ სამშობლოს ღალატობთ და ისიც, რომ არავითარი „ევროპული ღირებულება“ არ არსებობს, რასაც, თითქოს, თქვენ ერთგულდებთ. თქვენ თქვენი გაუმადლარი სტომაქის ერთგულებით ხართ, ამიტომ არ უნვეთ წინააღმდეგობას ბუკიკიოებსა და ემტონებს, რასმუსენებსა და აპატურაიებს, რომლებიც სტომაქის ამოყორვის შანსებს გაძლევენ, ხოლო თქვენი ამომრჩეველები ფეხებზე გკიდიათ, რადგანაც ისინი ოთხ წელიწადში ერთხელ, არჩევნების დღეს გჭირდებოთ მხოლოდ.

იმდენად ხარბები ხართ, რომ საკუთარი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად შეგიძლიათ თქვენი უცხოელი ბატონების უკანალი გამოლოკოთ, ისეთი სისულელებით თქვათ, რაც საკუთარი ხელით თავსაღვინდებდასხვა. აბა, ასე რომ არ იყო, რამ გათქმევინათ, სამღვედლოებას, საერთოდ, ეკლესიას ვინ ჰკითხავს, როგორ კანონებს მიიღებს საერთოდ ხელისუფლებათ. ეკლესია ხომ გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და საერო საქმესთან რა ხელი აქვსო მას.

თქვე უჯიშოებო, სასულიერო პირები საქართველოს მოქალაქეები არ არიან? განა მათ უფლება არ აქვთ საკუთარი სამოქალაქო პოზიცია და აფიქსირონ? განა მათ არ შეიტანეს უდიდესი წვლილი იმაში, რომ თქვენი „განათლებული“ გვამები პარლამენტში დამსხვდარი იყვნენ?

არ იცით, განა, რომ ნებისმიერი ეკლესიის ფუნქცია ერისა და ქვეყნის სულიერებასა და ზნეობრიობაზე ზრუნვაა? ყველა დიდი რელიგიის (ქრისტიანობის, ისლამის, იუდაიზმის, ბუდიზმის) არსი, მისი მიმდევრების ზნეობრიობის შენარჩუნება-გან-

და ვთქვა, რომ გავა დრო, როცა ჩვენ თვითონ გავვიკვირდებთ, თუ როგორ მივიღეთ ეს კანონი. მე შევთხოვე უფალს, შეგვიდოს შეცოდებანი ჩვენი, ნებისითი თუ უნებლიეთი. ღმერთი მოწყალე და ღმერთი გვაპატიებს ჩვენს ცოდვებს“, — ბრძანა პატრიარქმა.

მე ვინ ვითხავს მისი უწმინდესობა, პატრიარქის სიტყვების განსჯას, მაგრამ ჩემი მოკრძალებული აზრით, ეს არის რელიგიური მოღვაწის შესაფერისი სიტყვა, რომელიც თავს მოვალედ თვლის ილოცოს როგორც მოკეთის, ისე მტრისათვის, როგორც მართლთა, ისე შემცდართათვის. ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, ასე ვერ მოვიქცევით და ასეთი მოქცევა არც შეგვეფერის. ჩემი და მილიონი ჩემნაირის განწყობა ამ დღეებში კარგად გამოხატა ცნობილმა პუბლიცისტმა და გულმხურვალე მამულიშვილმა იაკობ ლეჟავამ: „შომოსექსუალობის მფარველობით საქართველოს პარლამენტი დანაშაულის ხელშემწყობი და თანამონაწილე გახდა, ამიტომ იგი კინისკვრით გაყრას იმსახურებს“.

სრულიად ვეთანხმები ბატონ იაკობ ლეჟავას და დარწმუნებული ვარ ასიათასობით ქართველი უსათუოდ მონადედა ხელს ამ შეფასებას. ჩემდა თავად, უნდა დაგვამტკიცო: საქართველოს პარლამენტი ამ ვაიკანონის მიღების შემდეგ უკვე არალეგიტიმურია!

ჩემი ეს განცხადება ლიტონ სიტყვებად რომ არ მოეჩვენოს ვინმეს, განსაკუთრებით იურისტს პარლამენტარებს, ჯერ ტერმინ „ლეგიტიმაცია“ განვმარტავ ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით, როგორც ეს ენციკლოპედიებშია მოცემული: „ლეგიტიმაცია“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს კანონიერს, რაიმე უფლების ან უფლებამოსილების აღიარებას ან დადასტურებას“. კონკრეტულად, პარლამენტის ლეგიტიმურობა ნიშნავს იმას, რომ იგი ამომრჩეველთა უმრავლესობის მიერ არის არჩეული და მათ მიერ დელეგირებული უფლებების მატარებელია. როგორც კი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება ხალხის ნების წინააღმდეგ წავა, იგი, ფაქტობრივად, კარგავს ლეგიტიმურობას. ჩვენი პარლამენტის მიერ ერთხმად მიღებულ ე. წ. ანტიდისკრიმინაციულ კანონს ჩვენი ხალხის 90%-ზე მეტი ეწინააღმდეგება. ეს რომ ასეა, ამას არც Nait-ის კვლევები სჭირდება და არც ჩვენი „ინტელექტუალი“ პარლამენტარების დასტურები, რომლებიც ყველა უცხოელ „მრჩეველს“ ასკილივით უკანთუებენ თავს. სწორედ ამიტომ, საქართველოს დღევანდელი პარლამენტი უკვე არალეგიტიმურია და არა მგონია, რომელიმე პატიოსანი კაცი შემედავოს ამაში.

ზურაბ ცუცქერიძე

85 წელი შეუსრულდა სასიქადლო მამულიშვილს, ქვეყნის წინაშე ვალდებულ პირს, რომელიც თავისი ცხოვრების შედეგად ნაწილი საქვეყნო საქმეების კეთებას მიუძღვნა.

ბატონი ოთარი დაიბადა 1929 წლის 15 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში. ბავშვობისა და ყრმობის წლები თავის „ოდაბადაში“ გაატარა და დღესაც იქ ცხოვრობს. როგორც თვითონ ამბობს, „ოდაბადა“ მისთვის პარიზიც, მოსკოვიც და მონტე-კარლოც, ანუ ყველაზე ლამაზი და საყვარელი ადგილი მთელ მსოფლიოში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ბატონი ოთარი ჩაირიცხა ლენინგრადის ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტში, რომელიც ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობით წარჩინებით დაამთავრა 1955 წელს. იმავე წელს მუშაობას იწყებს ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატში, სადაც ამ სანარმოს აქტივთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს ის გაიცნო მაშინდელმა ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა, ახალგაზრდა კადრების შერჩევითა და დანიშნულებით ცნობილმა ხელმძღვანელმა ბატონმა აკაკი ქვარცხავამ და თავისთან გადაიყვანა სამუშაოდ. ასე დაიწყო მისი არცთუ ისე ხანგრძლივი პარტიული კარიერა.

1965 წელს ბატონო ოთარი დაინიშნა ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის დირექტორად. სწორედ აქ გამოვლინდა მისი, როგორც ხელმძღვანელის ორგანიზატორული ნიჭი. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ თუ კომბინატის დირექტორად მისი დანიშნვის დროს საწარმო დოტაციებზე იყო და ყოველწლიურად სახელმწიფოსგან 7 მილიონ მანეთს ღებულობდა, როცა ბატონი ოთარი კომბინატიდან წავიდა, მოგება 25 მილიონი მანეთი შეადგინა.

როგორც ცნობილია, ქაღალდის წარმოებისთვის საჭირო ნედლეული ხე-ტყეა, რომელიც დიდი რაოდენობით მზადდებოდა სვანეთში, რაც იქაურობას გაჩანაგების საფრთხეს უქმნიდა. ამაში ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში დარწმუნდა, როცა მან, ნადირობის ტრეილში, ნახა სვანეთი.

დირექტორად დანიშნვის დღიდანვე ინტენსიურად დაიწყო ოპტიმალური გზების ძიება პრობლემის გადასაწყვეტად, როცა უკვე მომზადდა ეკონომიკური და ტექნიკური დასაბუთება იმისა, რომ შესაძლებელი იყო რუსეთიდან შემოსული ნედლეულით ჩანაცვლებულიყო ადგილობრივი ხე-ტყე, მიმართა საქართველოს მთავრობას, რომლის აქტიური მხარდაჭერით შეძლო თავისი წინადადების რეალიზაცია.

ცელულოზა ქაღალდის მრეწველობაში ერთ-ერთ მანვე წარმოებადაა აღიარებული. გაჭუჭყიანებული სადინარებისა და გამოწვლილქვეებისგან საპაერო აუზის განმენდა კი ურთულესი პრობლემაა. ბატონი ოთარის დიდი ძალისხმევით საქართველოში პირველად ენგურქალაქ-დკომბინატში დაინერგა გაჭუჭყიანებული სადინარების განმენდის ბიოლოგიური მეთოდი, რითაც კომბინატისგან შავი, მდინარე ენგურისა და შავი ზღვის გაჭუჭყიანების პრობლემა მოიხსნა. სვანეთში ხე-ტყის ჭრის შეწყვეტას ეს საშვილიშვილო საქმეც დაემატა.

1981 წელს ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის ბაზაზე შეიქმნა საკავშირო დაქვემდებარების სანარმოო გაერთიანება „საქქალაქმრეწვი“, სადაც 4500 ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი მუშაობდა. გაერთიანებაში შედიოდა ენგურქალაქ-დკომბინატი (სათავო), თბილისის ქაღალდის ფაბრიკა, დამხმარე მეურნეობა „ერგეტა“ და სამშენებლო სამმართველო „ენგურ-რი“. ბატონი ოთარის ხელმძღვანელობით დამუშავდა გაერთიანება „საქქალაქმრეწვის“ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური გეგმა, რომლის რეალიზაციით 1990 წლისთვის გაერთიანებაში წარმოებული სასაქონლო პროდუქციის მოცულობამ შეადგინა 73 მილიონი მანეთი, ანუ წარმოების მოცულობა გაიზარდა 60 პროცენტით.

სანარმოს ეფექტიანი ფუნქციონირება მოითხოვდა სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას. აღნიშნულ პერიოდში აშენდა ორი ახალი საშუალო სკოლის, ორი საბავშვო ბაგა-ბაღის შენობები, ამოქმედდა თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ჯანდაცვის ობიექტები: სამედიცინო-სანიტარიული და დიაგნოსტიკური ცენტრი. ამოქმედდა კულტურის სასახლე (600 ადგილით), საცურაო სპორტული კომპლექსი, სასტუმრო „ეგრისი“. აშენდა მრავალი საცხოვრებელი ბინა და 300-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი მცირერიცხოვანი ოჯახებისა და მარტოხელა ახალგაზრდა სპეციალისტებისთვის, ერგეტის აგრარულ სექტორში ამოქმედდა სასათბურე მეურნეობა, შეიქმნა მეცხოველეობის მექანიზებული ფერმა, გაფართოვდა მალაზიათა და საზოგადოებრივი კვების ქსელი. ღამის ცვლაში მუშაობისთვის ყველა საამქროში გახსნილი იყო ბუფეტები, სადაც კვება იყო უფასო. აღსანიშნავია ისიც, რომ კომბინატში მუშაობდა სასაბჭო 300 ადგილზე შედგური მაგიდის პრინციპით. ანაკლიაში, შავი ზღვის სანაპიროზე, მოქმედებდა კურორტი „თოლია“ 500 მოზარდზე და კურორტი „იუჟინი“ 350 დამსვენებელზე, დაიწყო ფეხბურთის ნახევრად დახურული სტადიონის



# სწორად სსოპრებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ მოღვაწეობის მაგალიტი

## გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე

მშენებლობა 20 000 მაცხოვრებელზე. აღნიშნული გაერთიანების სახით საქართველოში შეიქმნა მეურნეობრიობის ისეთი ფორმა, რომელიც სანარმოო-ეკონომიკური ეფექტიანობის და სოციალური პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტის თვისობრივად ახალი მოდელი იყო. ამიტომ-მაც ამბობდნენ კიდევ, ბატონმა ოთარმა ძალაძემ ძალაძე ააზნაო.

ბატონი ოთარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ადგილობრივი კადრების (სპეციალისტების) მოზადებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ განათლების საკავშირო მინისტრთან ე. ლიუტინთან შეთანხმებით ლენინგრადის ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სწავლის მსურველი ახალგაზრდებისთვის მიწალები გამოცდები ტარდებოდა ადგილზე, კომბინატში, ლენინგრადიდან ჩამოსული საგამოცდო კომისიის მიერ. ინსტიტუტში ჩაირიცხულ სტუდენტებს, რა თქმა უნდა, სანარმო უხდოდა სტიპენდიას.

ბატონი ოთარი თითქმის 30 წელიწადი მუშაობდა ენგურქალაქ-დკომბინატის დირექტორად, ვიდრე ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე რთულ პერიოდში, 1992 წელს, ზუგდიდის რაიონის გამგებლად არ დაინიშნებოდა. ეს იყო დრო, როცა საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება პიკს აღწევდა. ღვთის წყალობით, ბატონი ოთარი ჯერ სიკვდილს გადაურჩა და გადაარჩინა ამ კუთხის მოსახლეობაც და, რაც მთავარია, მან ბევრჯერ ააცილა საფრთხე სამეგრელოს. ასე გაილია დაძაბული მუშაობის ორი წელი და 1993 წელს მას ნიშნავენ საქართველოს პრემიერ-მინისტრად.

მთავრობის წინაშე დადგა საქართველოს სტაბილურობის, ეკონომიკის აღორძინების, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების ამოცანები. სწორედ ამიტომ ბატონი ოთარი მთელი ძალისხმევით მუშაობდა ენერგეტიკის, მოსახლეობის მარცვლეულითა და სანავთობო მარაგების პრობლემების გადასაწყვეტად. ცალკე უნდა აღინიშნოს მისი განსაკუთრებული ძალისხმევა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სვანეთის გზით გადმოსვლისას წარმოქმნილი სირთულეების დაძლევის საქმეში, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა სოფელ ქუბურთან. მისი მოღვაწეობა, იქნება ეს შრომითი, საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო, მისი ჭირისუფალი. მასში შერწყმულია კეთილშობილება, ერთგულება და მეგობრისადმი სიყვარული.

განსაკუთრებულია ბატონი ოთარის საქმისადმი უაღრესად კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, საზოგადოებრივი ინტერესების უმაღლესობა, პროფესიონალიზმი და შრომისმოყვარეობა. ამ თვისებების გამო ის სარგებლობდა და სარგებლობს უდიდესი ავტორიტეტით. მის მოსაზრებებსა და წინადადებებს ყურადღებით უსმენდნენ და ითვალისწინებდნენ (დღესაც იგივე ხდება) საზოგადოებაში და ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში. ადამიანთა პირადი ურთიერთობა, თანადგომა, მათი სიხარულისა და ჭირ-ვარამის გაზიარება ბატონი ოთარის წესია. მისმა მდიდარმა გამოცდილებამ, განათლებამ, შრომისმოყვარეობამ, სიახლი-სადმი სწრაფვამ შესაძლებლად მისცა მას, საკუთარი ძალები მოესინჯა მეცნიერებაში. 1970 წელს ბატონი ოთარი იცავს საკანდიდატო დისერტაციას ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ბატონი ოთარი ყველა დაკავებულ თანამდებობას თავისი უნდობით მატებდა, მისი გადაწყვეტილებები მეურნე კაცის შესაშური ადლოთი ნაკარნახევი და აწონილ-დაწონილი იყო.

მისი მოღვაწეობის გზაზე იყო სირთულეები, პრობლემები, მაგრამ ყოველთვის დაუძლეველი ისინი. ის არის პიროვნება, რომელსაც ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში შეუძლია საკუთარი ღირსების დაცვა და წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. საკუთარ დამსახურებაზე საუბარი არ უყვარს, სხვისგან მოსმენილი რეზერვს უღებდა. იგი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ყოველგვარი სმაურის, სომეგრეობისა და რეკლამირების გარეშე აკეთებენ საქვეყნო საქმეს.

მისი დაუღალავი შრომისა და აღიარებული ავტორიტეტის დასტურია ის ნოდებები და ჯილდოები, რომლებიც მას დამსახურებულად აქვს მიღებული: ვახტანგ გორგალის პირველი ხარისხის ორდენი, ღირსების ორდენი, საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – მინდა გიორგის ოქროს ორდენი. საბჭოთა კავშირის პერიოდში დაჯილდოებულია ლენინის, შრომის ნითელი დროშის, საპატიო ნიშნის ორდენებითა და მედლებით. იყო ასრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის წევრი. უკანასკნელ წლებში ბატონი ოთარი სათავეში ჩაუდგა საზოგადოება „ზუგდიდს“ და ღირსეულად უძღვება ამ საპატიო საქმეს.

ასეთი განსაზღვრული ბატონი ოთარი ფაცაცია, მაგალითი სწორად ცხოვრებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ მოღვაწეობისა. წლებსა და რთულ ცხოვრებას ოდნავად არ შეუცვლია ის, იგი დარჩა ერთგულ, უღალატო და ყურადღებიან მეგობრად.

ღმერთმა ჯანმრთელად, სიკეთითა და სიყვარულით ატაროს ცხოვრების დარჩენილ დროში ქვეყნისა და ერის წინაშე ვალდებულნი და პიროვნება, რომლის წინაშე თავს ვხრით მადლიერების გრძობით აღვსილი მისი მეგობრები.

ქვეყნის კოლხის, ჩინებულ მეუღლეს, მამას, ბაბუას, მალაი ზნობის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს ბატონი ოთარი ფაცაციას ვულოცავთ მწიწკი იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ზონდო ჯიძია, თამაზ ცანავა



1993 წელი, ჭუბარის უღელტეხილი – ქართველთა გოლგოთა

გარადიული შავი ლაქა

ამ თემზე საუბარს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები მუდამ გაუბრუნებენ... იმდენად ცალსახად აღმაშფოთებელი იყო ყველაფერი, იმდენად კარგად გამოჩნდა „ნაციონალური მოძრაობის“ ქვეყნარბი სახე და მისი სურვილი, ჩარეულიყო და საკუთარი თამაშის წესები დაეყვიდრებინა ყველა სფეროში, მათ შორის სპორტში და განსაკუთრებით – ფეხბურთში.

წინასწორი

მომლოცვენი უკეთ ასახსნელად წინასწორია გავისხნოთ და მხოლოდ ფაქტებით ვილაპარაკოთ. საამისოდ 2005 წლის საფეხბურთო არჩევნებიც იკმატება. თავად მიხეილ სააკაშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ 2005 წელს ახალკაცებს სახლში ეწვია და ნოდარ ახალკაცი-უმცროსი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობაზე დაითანხმა.

მინიმუმ, ასეთი საქციელი გაუგებარია, როდესაც „დემოკრატიის შუქურა“ ხარ, რადგან მმართველი საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობაში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს. მიხეილ სააკაშვილმა საკუთარ თავს ამის უფლება მისცა. ეტყობა, თავად არ იცოდა და გარემოცვამაც არ ურჩია, რომ ასეთ საქციელს ფიფა და უეფა „სახელმწიფოს უხეშ ჩარევას“ უწოდებდნენ და რომ ამის გამო წლების განმავლობაში ამ ორგანიზაციებიდან რამდენიმე ქვეყანაც გარიცხეს. როდესაც სააკაშვილმა ფეხბურთის ეს განაჩენი გამოუტანა, ვლადიმერ გუცაევმა, რევაზ არველაძემ და გიორგი ნემსაძემ ერთიმეორის მიყოლებით მოხსნეს კანდიდატურები. ეტყობა, სამივემ ერთად ცუდი სიზმარი ნახა ან პირადად ასტროლოგებმა ურჩიეს, რომ არჩევნების დღეს ქონების ნართმევა ან დაპატიმრება ელოდათ. ამ „სამართლიან“ არჩევნებში ახალკაცს 26 დელეგატიდან ხმა 25-მა მისცა. თავი მხოლოდ მამუკა გუგუშვილიმ შეიკავა, რომელიც დღეს თბილისის საკრებულოში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელია. მაშინ მან დაადგინა განაცხადი, რომ ამ შოუში მონაწილეობა არ სურდა.

კლტურბათიული ნასიონალი

ნოდარ ახალკაცი-უმცროსი გოკა გაბაშვილს ჯერ კიდევ გერმანიაში ცხოვრების დროს დაუმეგობრდა – თავად იქ სწავლობდა, გაბაშვილის მამა კოტე გაბაშვილი კი გერმანიაში წლების განმავლობაში საქართველოს ელჩი გახლდათ.

ამტკიცებენ, რომ სწორედ გაბაშვილის დახმარებით მიიღო უმცროსმა ახალკაცმა „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერა. ფაქტია, რომ ძველი ხელისუფლება, პირდაპირ თუ ირიბად, სწორედ მას უცხადებდა მხარდაჭერას. მაგრამ „ნაციონალებს“ საფეხბურთო იმედები მმართველმა ახალკაცმა აშკარად ვერ გაამართლა. მიუხედავად ფინანსური დახმარებებისა, მისი ორწლიანი მმართველობა წარუმატებელი და უშედეგო გამოდგა.

ახალკაცის შემცველის კანდიდატურაზე მხოლოდ საფეხბურთო საზოგადოებაში როდი ფიქრობდნენ. განსხვავებული მოსაზრება ახალკაცის თაობაზე თავად „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ იყო. განსაკუთრებით პარტიის იმდროინდელი გენერალური დივიანი დავით კორკიტაძემ და „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ ნამოჩიტილი, „ნაციონალებთან“ დაპირისპირებული ვალერი გიორგობიანი აქტიურობდნენ.

ამ დროს გამოჩნდა გიორგი ნემსაძე. სხვათა შორის, მცდარია გავრცელებული მოსაზრება, თითქოს მან კანდიდატურა „ნაციონალებს“ თანხმობის შემდეგ დააყენა. ის ამ რევანშზე 2005 წლიდან ფიქრობდა, როდესაც განზე პირველად გასწიეს.

ეს ვარაუდი იმ ფაქტს ემყარება, რომ წინა არჩევნებიდან ჩამოშორებული გიორგი ნემსაძე იმ დროისთვის „ნაციონალური მოძრაობიდან“ თბილისის საკრებულოს წევრი გახდა, თუმცა, პარტიაში არ განეკუთვნებოდა იქნებ სწორედ რევანშის წყურვილით შევიდა.

ნემსაძის განზრახვა კორკიტაძისთვის გახდა ცნობილი. რადგან ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი კაპიტანი საზოგადოებაში დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა, კორკიტაძემ დაავერა, რომ ამჯერად საქმეს მოაგვარებდა და... საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე დაითანხმა.



მათ გარდა, გიორგი ნემსაძის აქტიური მხარდაჭერები იყვნენ აკაკი ბობოხიძე, მიხეილ მაჭავარიანი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, მერაბ სამადაშვილი, აგრეთვე იმ ადამიანების უმრავლესობა, რომლებიც შემდეგ „ნაციონალებს“ გადაუდგინენ, მათ შორის თბილისის საკრებულოს ამჟამინდელი წევრი მიხეილ ქავთარაძე და პარლამენტარი გოჩა ენუქიძე.

მაგრამ ნემსაძის მფარველები საკუთარი ძალის შეფასებაშიც შეცდნენ და ვერც ის გათვალეს, ვის დაუპირისპირდნენ „ნაციონალურ მოძრაობაში“. ბოლომდე ეგონათ, რომ არჩევნებში გამარჯვებულ მათ კანდიდატს აღიარებდა ის, ვის ახირებებზეც ჩუმ-ჩუმად თავად ქირქილებდნენ.

ისინი ვერ იჯერებდნენ, რომ ახალკაცს კვლავ „ის“ პატრონობდა. ეს მათ მხოლოდ არჩევნების წინა ღამეს, 12 საათზე შეიტყვეს. იმ ამბის ერთ-ერთი მონაწილე ყველა, რომ ზარი „მისი“ კაცის გან გაისმა – პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი უნდა გახდეს და სხვა ყველა გაჩერდესო.

კობაკისა „სანამ პრეზიდენტს სძინავს“

ამ ზარის შემდეგ ნემსაძის მომხრეთა უმრავლესობა გაჩერდა, მაგრამ ნაწილი თავმოყვარეობამ ცალიდა და გადაწყვიტეს, მაინც თავისი გაეტანათ. ამბობენ უფლებმა ბროლის წარმატებაში სხვებიც დაარწმუნეს – „მას“ სხვა გზა არ ექნება და არჩევნის შემთხვევაში ნემსაძის პრეზიდენტად აღიარებსო. შესაბამისი გეგმაც შეიმუშავეს: ყრილობა დილის 10 საათზე იწყებოდა – ნემსაძის შტაბმა სამოქმედო გეგმა სწორედ ამაზე ააწყო. გიორგის ერთ-ერთმა მხარდამჭერმა უთხრა, რომ „პირველის“ ძილისგულობით ესარტებლა. მას ძილი გვიანობამდე უყვარს და სანამ კიდედობს, არჩევნები მანამ ჩავატარებთ, მერე კი ვერაფერს იტყვის“, – ასეთი იყო მათი ჩანაფიქრი, რომელიც იმდენად გასაიდუმლოებული გახლდათ, თავის მომხრეებსაც არ უმხელდნენ.

ოპერაცია „სანამ პრეზიდენტს სძინავს“ გენერალურად განხორციელდა. ახალკაცის და თავად ნემსაძის მომხრეები გაოცებული იყვნენ, რადგან ნემსაძის შტაბი ყველაზე მიუღებელ წინადადებასაც კი იოლად თანხმდებოდა, მათ შორის გურიის რეგიონისთვის ხმის ჩამორთმევაც „გაატარეს“. მათ ხომ წინასწარ იცოდნენ ის, რაც 2007 წლის 13 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ გამოაცხადა – „გიორგი ნემსაძე – 19 ხმა, ნოდარ ახალკაცი – 13 ხმა. ამრიგად, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩეულია გიორგი ნემსაძე“.

დამარცხებულმა მოქმედმა პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გამარჯვებულ კონკურენტს მოგება პირადად მიულოცა.

ნაგაბით!!!

სამთქმელად ძნელი, მაგრამ საჯაროდ ადვილია, ვის ელაპარაკა შედეგის გამოცხადების შემდეგ გოკა გაბაშვილი, როდესაც მისი ფავორიტის დამარცხების შემდეგ უცნობ პირთან დარეკა და უთხრა: „წავაგეთ“ ეს გაიგო ძალიან ბევრმა იმ ადამიანმა, ვინც ამ დროს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტის“ საკონფერენციო დაბაზაში იმყოფებოდა. ისიც დაინახეს, ლეგენდარული გაბაშვილს სახეზე ფერი რომ აღარ ედო.

„დემოკრატიის სპორტული – რა მოხდა 13 მაისს“

საინტერესოა, რატომ უწოდა „დემოკრატიის შუქურების“ ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა „ნაგება“ საქართველოს ერთ-ერთი მოქალაქის გამარჯვებას, თუ „ნაციონალური მოძრაობა“ და მანამდელი ხელისუფლება არჩევნებში არ ერეოდა? მით უფრო, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციის არჩევნებში ჩარევისა და ფავორიტის შერჩევის უფლება ხელისუფლებას არ ჰქონდა?!

ამ „ნაგავით“-ს დიდი ამბები მოჰყვა. როგორც თვითმხილველი ყველა, გიორგი ნემსაძე მედიასთან კომენტარის გასაკეთებლად ემზადებოდა, როდესაც მასაც ფერი ეცვალა და იმ ნომერში შებრუნდა, რომელიც მის მომხრე „ნაციონალებს“ ჰქონდათ დაქირავებული. იმ ოთახში ნემსაძე დიდხანს გაჩერდა და შემდეგ მედიასთან კომენტარი კი გააკეთა, მაგრამ გამარჯვებულის სიხარულზე მეტად სახეზე უფრო შემფოთება ეწერა – ცხადია, ეს გამარჯვებით გამონვეული არ იყო.

ვის დაუკაპა გაბაშვილმა?

მთამარი ამბები ამის შემდეგ დატრიალდა. ყრილობის დელეგატებისა და ყურნალისტების ნაწილი ჯერ კიდევ „ქორთიარდ მარიოტში“ იმყოფებოდა, ნაწილი – დილამში მდებარე რესტორან „მონოპოლიში“, სადაც გამარჯვებულის მომხრეები ფავორიტის წარმატების აღსანიშნავად ემზადებოდნენ, მაგრამ არჩევნებიდან სულ რაღაც ერთ საათში მესი გაეგარდა: „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონიდან გიორგი ნემსაძე ჩართეს, რომელმაც პოსტიდან გადადგომაზე შოკისმომგვრელი განცხადება გააკეთა: „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა ჩემი თვითმიზანი არასოდეს ყოფილა. ჩვენ ფედერაცია ერთ ოჯახად უნდა გავაერთიანოთ. ვაპირებ რამდენიმე კვირაში მოვიწვიო ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა, რომელიც ახალ პრეზიდენტს აირჩევს“.

გიორგი ნემსაძემ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან დეტალურად საუბრისგან თავი შეიკავა, არადა, თანამდებობაზე იგი ოთხწლიანი ვადით აირჩიეს.

სამპრტივლო გარისხვას გაღაურა

ბეზრისთმის უცნობია, რომ „ქორთიარდ მარიოტიდან“ ნემსაძე ვაკეში მდებარე „ფლავანთა კლუბში“ ძველი ხელისუფლების თანამდებობის პირებმა მოტყუებით წაიფიანეს და გარეთ არ უშვებდნენ. ხმათა უპირატესობით გამარჯვებულმა გიორგი ნემსაძემ არჩევნებიდან ერთ საათში პოსტიდან გადადგომაზე განცხადება შექმნიდა და საზოგადოებას შეატყობინა – „მეუტყაოდ“ იკრიბებოდნენ და ანტისახელისუფლებო გამოსვლების მოწყობასა და შიმშილობის დაწყებას აპირებდნენ.

ორგი ნემსაძემ არჩევნებიდან ერთ საათში პოსტიდან გადადგომის შესახებ ზოგადი განცხადება კი გააკეთა, მაგრამ საღამომდე სერიოზული ზენოლით აიძულებდნენ სიტყვიერი განცხადება წერილობითი სახით დაედასტურებინა – სხვაგვარად მის სიტყვებს იურიდიული ძალა არ ექნებოდა.

ამ დროს მომხრეები მას რესტორან „მონოპოლი“ გამარჯვების აღსანიშნავად ელოდნენ და მისი ეს განცხადება შეცდომად და გაუგებრობად სურდათ ჩაეთვალოთ, ხოლო გულშემატკივრები ვაკის, ვერისა და კიკვიძის პარკებში, „მუშტაიდში“ იკრიბებოდნენ და ანტისახელისუფლებო გამოსვლების მოწყობასა და შიმშილობის დაწყებას აპირებდნენ.

დროის გაყვანის პოლიტიკა ნემსაძეს არ გამოუვიდა – საბოლოოდ ის ზენოლას დაყვა: 14 მაისს, დილით, ფეხბურთის ფედერაციაში ჩუმად მივიდა და პოსტიდან გადადგომა წერილობითი განცხადებით დაადასტურა.

მანამდე სახელმწიფოს მიერ ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში უხეში ჩარევის გამო სპორტული და აზერბაიჯანი უეფადან და ფიფადან გაირიცხნენ. შემდეგ ამ ქვეყნების ხელისუფლებებმა უკან დაიხიეს და უეფასა და ფიფაში აზერბაიჯანს წევრობა მხოლოდ ამის შემდეგ აღუდგინეს.

პოლიტიკური კლანების გააფთრებულ ბრძოლაზე მმართველი პარტიის შიგნით და უეფას მხრიდან მოსალოდნელ სანქციაზე სპორტული მედია და საზოგადოება ერთხმად აღაპარაკდა. მაშინ ბევრი ფიქრობდა, რომ ფეხბურთის ფედერაციის სკანდალური არჩევნების გამო ქართულ ფეხბურთსაც საბრძოლველად და აზერბაიჯანის მსგავსი სანქციები არ ასცდებოდა – იმ დღეებში ამ საკითხმა საქართველოში ყველა პოლიტიკური თემა გადაინახა და უეფა და ფიფა ხომ არ დაყრუვდებოდნენო!

მაგრამ გიორგი ნემსაძე გაჩუმდა. გაზეთ „24 საათის“ ყოფილი სპორტული მიმოხილველი მიხეილ აბაიშვილი კი დარწმუნებულია, რომ პოსტზე ნებყოფლობით უარის თქმით გიორგი ნემსაძემ საქართველოს უეფას მხრიდან ის საშინელი სანქციები აარიდა, რომელიც ქართულ ფეხბურთს მიძიდ დარტყმას მიაყენებდა.

ცხადია, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არ იყო დაინტერესებული, რომ სკანდალი უეფას ყურამდე მისულიყო – ასე დემოკრატიის შუქურა 2012 წლის 1 ოქტომბრამდე გაცილებით ადრე ჩაქრებოდა.

ნემსაძემ მხოლოდ წლების შემდეგ, ისიც ნაწილობრივ, ილაპარაკა მომხდარზე, რომ ყველა მისი მომხრე დელეგატი 3-3 დღე გამოძიებულთან აყურყურეს. ალბათ, მათ ქართული დემოკრატიის მიღწევებსა და ევროატლანტიკურ სივრცეში განეკრიბების პერსპექტივაზე შედეგინად ესაუბრნენ.

პერსონები

მის შემდეგ შვიდი წელია გასული. იმ მოვლენების ცალკეული პერიოდები დღემდე გასაიდუმლოებულია, რადგან საზოგადოებაში არსებული არაერთი კითხვის მიუხედავად, არჩევნების მთავარი მოქმედი გმირები დღემდე არჩევნები.

ჯერ მომხდართან დაკავშირებით გავრცელებული ცნობილი ვერსია გავიხსენოთ. ამტკიცებდნენ, რომ ფერნანსულმა გოკა გაბაშვილმა „წავაგეთ“ სააკაშვილს უთხრა; თითქოს არჩევნების დასრულებიდან მალე გაღვივებულ პრეზიდენტთან მივიდნენ გოკა ბოკერია, გივი თარგამაძე, კახა ლომია და გოკა გაბაშვილი და შეეცადნენ აეხსნათ, რომ დავით კორკიტაძე (რომელიც მაშინ რეგიონებსა და გუბერნატორებს კურატორობდა) დაუმორჩილებელი ხდებოდა, რადგან პარტიის დირექტივა არ შეასრულა.

ვერსიის მიხედვით, მათი სტუმრობის შემდეგ სააკაშვილმა „ქორთიარდ მარიოტში“ მყოფ კორკიტაძეს დაურეკა და ნემსაძის გადადგომა მოსთხოვა. ეს ვერსია ვერსიადვე მანამ დარჩება, სანამ თავად მონაწილეები არ დაადასტურებენ. მაშინ ამ ვერსიას სპორტული ჟურნალისტე-

მარადიული შავი ლაპა

ბის უმრავლესობა ემსრობოდა. ისინი სხვადასხვა გამოცემებსა თუ ტელეეთერში ღიად წერდნენ და აცხადებდნენ, რომ გიორგი ნემსაძეს გადადგომა საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ აიძულა.

პოპულარულ სპორტულ გაზეთ „საბიელის“ კორესპონდენტმა კობა ინასარიძემ რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას განაცხადა, რომ ქართული ფეხბურთი მმართველი პოლიტიკური კლანების ბრძოლის ასპარეზად იქცა:

„ეს იყო ამ ორი კლანის, ორი დაჯგუფების დაპირისპირება: აქეთ – ბოკერია და მისი საპარლამენტო მეგობრები, იქით – კირკიტაძე და მისი ფრთა“, – განაცხადა ინასარიძემ.

ხოლო გაზეთ „ლელოს“ ჟურნალისტმა მერაბ მამულაშვილმა 2007 წლის 14 მაისს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს ღიად დასდო ბრალი, რომ ნემსაძის გადადგომა მათი ზეწოლის შედეგი იყო.

არანაკლებ საინტერესო ამბებს იხსენებს ფეხბურთის ფედერაციის 2007 წლის 13 მაისის არჩევნებში პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი მამუკა კვარაცხელია:

„გაბაშვილი არჩევნებში აშკარად ერეოდა, ფაქტობრივად, მაშინდელ სხდომას ხელმძღვანელობდა და ტელეფონით დირექტივებსაც

ფედერაციის პრეზიდენტად ნემსაძეს აირჩევნენ, მასთან არ ვითანამშრომლებო.

ბევრი ფიქრობს, რომ ფედერაციამ ტომპიოლერის ამ სიტყვებით ისპეკულიანტა. ნოდარ ახალკაცი-უმცროსის წინამორბედი, ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიას სააკაშვილის ხელისუფლების დროს ორჯერ დაიჭირეს და ორჯერვე დიდი თანხის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.

გაპრეზიდენტების შემთხვევაში ფედერაციის ფინანსური აუდიტის ჩატარებას გიორგი ნემსაძის გუნდიც აპირებდა, რაც ნათელს მოჰყენდა კითხვას – ხდებოდა თუ არა ქართულ ფეხბურთში ფინანსური მაქინაციები და ფულის გათეთრება.



იყო მუქარა გიორგის ახლობლებზე. სააკაშვილი გამწარებული ყვიროდა, დაიჭირეთ, ვინც ნემსაძეს ეხმარებოდა, მაგრამ იქ ვილაღ-ვილაღ-ცებმა გააჩერეს. მანამდე იყო გირგვლიანისა და ბუტა რობაქიძის მკვლელობები, მაგრამ ეს იყო პირველი სერიოზული იმედგაცრუება და უსამართლობა, რომელმაც დამაფიქრა“ – განაცხადა ქავთარაძემ.

ქავთარაძის მონათხრობი იმიტომაც არის საყურადღებო, რომ 2007 წელს ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებში იგი გიორგი ნემსაძის მხარდამჭერ სახელისუფლებო ჯგუფში იყო და მაშინდელ კულუარებში კარგად ერკვეოდა.

ჩემო პრეზიუმის აღიარება

ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რევაზ არველაძემ დაადასტურა, რომ ბოლო წლებში ამ ორგანიზაციის საპრეზიდენტო არჩევნებში ობიექტურობის პრობლემები მართლაც იქმნებოდა და სფფ-მ ეს საკითხს ვერ მოაწესრიგა.

2013 წლის 6 აპრილს ტელეკომპანია „მაესტროს“ გადაცემა „პრეს-პრესში“ მრავალ საინტერესო საკითხთან ერთად ფეხბურთში სამართლიანობის აღდგენაზეც ილაპარაკეს.

ფედერაციის გენერალურ მდივანს შეახსენეს, რომ 2005 წლის არჩევნებში ის უპირველეს და, ფაქტობრივად, უალტერნატივო ფავორიტად ითვლებოდა, სანამ საქმეში „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი რჩეული არ ჩაერთო; სპორტის აკადემიაში გამართულ შეკრებაზე კი ყველა არასასურველ კანდიდატს გზა გადაუღობეს.

კითხვაზე – „ბევრი ცდილობს, დაივიწყოს და დახუროს იგივე 2007 წლის 13 მაისის არჩევნების თემა, როდესაც პრეზიდენტად არჩეული გიორგი ნემსაძე თანამდებობიდან ძალადობრივად გზით გადააყენეს“ – არველაძემ უპასუხა:

„ახალ ამბავს არ იძახით, რომ არჩევნები არ გეკონდა. კარგი იქნება, თუ მთავრობა არჩევნებში არც ერთ კანდიდატს მხარს არ დაუჭერს – ყველაფერი ჩვენს ხელშია და წინ რა უდგას, რომ მივალწიოთ? ნემსაძესა და არჩევნებზე კითხვა დამისვით... მე უფრო უკან წავალ, როდესაც ჟორდანიას არჩევას აღმასრულებელი ორგანო ენიშნა აღმდგენლობა, გარეთ კი სპეცრაზმი იდგა... ძალიან დიდი ტრავმა მიყენეს ნემსაძის და, სხვათა შორის, არანაკლები – ახალკაცს... მაგრამ მე სამართლიანობის აღდგენას კი არ ვენიშნავდეგები, არამედ სხვის ნაცვლად ლაპარაკი არ მსურს და მხოლოდ საკუთარ გაკეთებულ საქმეებსა და შეცდომებზე ვაგებ პასუხს...“

ბოლო წლებში პირველად „ნაციონალური მოძრაობისა“ და ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა არჩევნების დროს არსებული პრობლემები დაადასტურეს.

ჩიბგარეშე ყრილობა

2007 წლის 15 მაისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა სამდივნომ ოფიციალური განცხადება გაავრცელა.

„სუთმბათს, 2007 წლის 17 მაისს, 11 საათზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრში „ბასა“, სფფ-ის მე-13 რიგგარეშე საარჩევნო ყრილობა გაიმართება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის ჩატარების აუცილებლობა და პროცედურა შეთანხმებულია ფიფა-სთან და უფფა-სთან. სფფ-ის რიგგარეშე ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს უფფა-ს დელეგატი. რიგგარეშე ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის უფლება აქვთ 2007 წლის 13 მაისს სფფ-ის მე-12 საარჩევნო-საანგარიშო ყრილობისთვის წარდგენილ დელეგატებსა და იმავე ყრილობისთვის წარდგენილ პრეზიდენტობის და აღმასრულებელი კომიტეტის კანდიდატებს.“

ამ ერთ პატარა განცხადებაში ნათლად აისახა ის ფარისევლობა, რაც 2003-2012 წლებში საქართველოს მართავდა. „დემოკრატიის მუქურა“ ხალხის ნებას უმოწყალოდ თვალავდა და ახალი ყრილობა ისე დანიშნეს, თითქოს არაფერი მომხდარა.

ეს ახლავს, „ნაციონალური მოძრაობა“ სიტყვიერ შენიშვნასაც ადამიანის უფლებების დარღვევად რომ ახალებს.

დღე, რომელიც ჩვენი ფეხბურთის ყველაზე სასიხარულო და საამაყო დღედ ითვლებოდა, ისტორიაში ყველაზე სამარცხინო საფეხბურთო მოვლენასთან გაიგივდა. 13 მაისს საბოლოოდ დაიშვა „ნაციონალთა“ დემოკრატიზაციაზე. სპორტულ სამყაროში დარწმუნებულები არიან – 7 ნოემბერი, 26 მაისი და მას შემდეგ ბითუმად დატრიალებული მოვლენები, ქონების ჩამორთმევის უწყვეტი სერიალი, ციხეში სისტიმად ქვეყნის ძალადობები და ა.შ. სწორედ ამ დღიდან იღებს სათავეს და იმის შედეგია, 2007

წლის 13 მაისს საზოგადოებამ თვალეში ნაცრის შეყრა რომ არ გააპროტესტა. და რაც უნდა უტიფრად ეცადონ „ნაციონალების“ ლიდერები, ლოგიკურად ვერასოდეს ახსნიან, რატომ მოხდა ეს ყველაფერი „ქორთიარდ მარიოტში“ გამართული საფეხბურთო ყრილობის შემდეგ.

საინტერესო ფაქტები

13 მაისს დატრიალებულ მოვლენებს „საზოგადოებრივ არხზე“ საგანგებო და საკმაოდ მწვავე გადაცემა მიუძღვნა ლაშა დგელიშვილმა, რომელსაც არხის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ გარკვევით მიანიშნა, რომ აჯობებდა გაჩუმებულყოფი.

ტელეკომპანია „იმედის“ შენობაში მდებარეობდა გაზეთ „მთავარი სპორტის“ რედაქცია, რომლის ბაზაზეც პოპულარული გაზეთი „ლელო“ აღდგა. გაზეთმა 13 მაისის მოვლენებს მწვავე წერილი უძღვნა.

საკაშვილის ხელისუფლების მიერ 2007 წლის 7 ნოემბერს დარბეულ „იმედის“ შენობაში ჟურნალისტებს დიდი ხნის განმავლობაში არ უშვებდნენ, მათ შორის – არც „მთავარი სპორტის“ რედაქციას.

კითხვაზე – სპორტულ გაზეთს რაღას ერჩოდნენ? – გამოძიებელმა უპასუხა – მიზეზი 15 მაისის სტატიამდე ეძებეთ... 2007 წლის 15 მაისი ორშაბათი დღე გახლდათ, როდესაც გაზეთში 13 მაისის არჩევნებზე წერილი გამოქვეყნდა, რომელშიც „ნაციონალური მოძრაობის“ საფეხბურთო ვნებებზე იყო საუბარი.

ჩვენ რა უნდა ვაკეთოთ?!

806000 საბაბაშვილი და მისი ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველთვის კატეგორიულად უარყოფდნენ საფეხბურთო არჩევნებში ჩარევის ფაქტს, მაგრამ 2009 წელს თანამდებობიდან „საკუთარი ნებით“ თავად ნოდარ ახალკაცი უმცროსი რომ გადადგა, ყველაფერი გაცვლივით ღიად მოხდა.

მანამდე მიხეილ სააკაშვილმა საჯაროდ განაცხადა: „უფფას წესებით მთავრობას არ აქვს უფლება ფედერაციის საქმიანობაში ჩაერიოს, მაგრამ კარგად გაახსენეთ ფედერაციის ახლანდელ თავკაცს, თუ რა ბედი ეწია მის წინამორბედს. ჩვენ არ ჩავერევი, მაგრამ პრობლემები შეიძლება შეექმნას. გადავიცით ეს ახალკაცს – თავს ბოლომდე ნუ იჭრის“.

თუ სააკაშვილი ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში არ ერეოდა, ახალკაცს პრობლემებს როგორ შეუქმნიდა ან რატომ ემუქრებოდა? ვის და რა უნდა გადაეცა უმცროსი ახალკაცისთვის, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა ჯერ ალაზვევს, შემდეგ კი გამომწურული ლიმონით მოისროლეს და ისეთი პანდურის ამოკრეს, რომ გერმანიიდან საქართველოში ჩამოსვლის სურვილი დღემდე არ გააჩნია.

ამის შემდეგ რადიო „თავისუფლების“ ეთერში 2009 წლის 17 სექტემბერს საქართველოს სპორტისა და კულტურის საქმეთა მინისტრმა მიხეილ ბერიძემ ნიკოლოზ რურუამ კობა ლიკლიკაძის გადაცემაში მოკისმომგვრელი განცხადება გააკეთა: „მე შევთავაზე ახალკაცს, დროებით გადამდგარიყო“.

რა იყო ეს, თუ არა ხელისუფლების მხრიდან ფეხბურთის ფედერაციის საქმეებში უხეში ჩარევა?

ბოროტი თხლის ნაყოფი

ბზნა ვინმეს ჰგონია, რომ რაც ქართულ ფეხბურთში დღეს ხდება, ეს შემთხვევითი ამბავია და რომ ბოროტ თესვზე კეთილი ნაყოფი აღმოცენდებოდა? ფაქტია, რომ მას შემდეგ ქართული ფეხბურთი კატასტროფული ტემპით განიცდიდა რეგრესს და ბოლოს უფსკრულში გადაიჩნდა. ამ დროს საფეხბურთო სამყარო დუმდა და ხელახალ არჩევნებზე ახალკაცს ისე დაუჭირა მხარი, თითქოს არაფერი მომხდარა. თითქოს სახელმწიფოს გამოყოფილი მილიონები საეჭვოდ არ გამჭრალიყოს.

არც ის გაახსენებიათ, რომ ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნულმა კლაუს ტომპიოლერმა მილიონები წაიღო. ან სად წავიდა ორ წელიწადში „თვისებული“ 12 მილიონზე მეტი ლარი? იმაში, რომ ჩვენი ჩემპიონატი ფარელების დონეზე დაეცემულიყო? რომ ბავშვთა ფეხბურთი განადგურებულიყო? რომ ევროპაში ყველაზე სამარცხინო ფეხბურთი გეკონოდა?

კიდევ უამრავი პასუხაუცებელი კითხვაა, რაც 13 მაისის ლოგიკური გაგრძელებაა – მაშინ ხელისუფლების ხუმტურებს ქართული ფეხბურთი გადააყოლეს და საბოლოოდ სპორტის ეს სახეობა, რომელიც ჩვენი ერის გამხარებელი იყო, უფსკრულში გადაიჩნეს და ქვეყნის სირცხვილად აქცევს.

შუქურის ბრწყინვალეობა



იძლეოდა, ხოლო გამარჯვების შემდეგ ნემსაძის მომხრეები დააშინეს.

გარკვეული დროის შემდეგ გვარიანად გამოსწორდნენ, ვფიქრობ, სწორედ მაშინდელი აქტიურობისთვის. თბილისის აეროპორტის გზაზე უცნობი პირები დამხვდნენ, გამიტაცეს და ისე სასტიკად მცემეს, რომ ისკვდილს ბენჯზე გადავურჩი.

ამ დროს ძველი ხელისუფლება ამავად აცხადებდა, რომ კრიმინალი მოსპო და რომ მოქალაქეები თავს უსაფრთხოდ გრძნობდნენ. თავდამსხმელებს სურდათ ჩემი მოტყუება, თითქოს ცხინვალელი ოსები, იყვნენ, მაგრამ თბილისში ისინი ასე იოლად თუ იტაცებდნენ ხალხს, მაშინ კრიმინალის აღკვეთაზე ნაციონალების ლაპარაკი ბლევია ყოფილა.

მეორე ვარიანტი: ჩემი აზრია, რომ არჩევნების დროს „ნაციონალების“ უკანონოების მნიშვნელობის ჩემზე შური იძიეს. იყო მუქარები და დაშინების მცდელობა და ამ ყველაფრის შემდეგ გატაცებაზე არ უნდა მეფიქრა?

სხვათა შორის, ზუსტად იმ დროს ანალოგიურად გაუსწორდნენ რესპუბლიკელ ვალერი გელაშვილსა და სამხედრო აკადემიის ყოფილ რექტორს გიორგი თავდგირიძეს. ჩემი აზრით, ამით გვარკვეულ ჯგუფს ხალხის დაშინება სურდა, რომ ყველა მონინალმდევს სასტიკად გაუსწორდებოდნენ. ფაქტია, რომ სამივე ეს საქმე დღემდე გაუსხსნელია“.

უსწავრი აქონოია

ნაპრემის მაშინდელი მთავარი მწვრთნელის კლაუს ტომპიოლერის პოზიციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა – საქვევრო საქმეებით გადატვირთული მისივე სააკაშვილი საფეხბურთო არჩევნებამდე გერმანულ სპეციალისტს შესაყვდრეს. პრეზიდენტთან ტომპიოლერმა განაცხადა, რომ თუ

ასეთი სკანდალი ხელს არც მაშინდელ საფეხბურთო ელიტას აძლევდა და არც ნაკრების მწვრთნელს კლაუს ტომპიოლერს, რომელიც ნოდარ ახალკაცს მხარს საჯაროდ უჭერდა.

ერთი საინტერესო ფაქტი: ტომპიოლერი საქართველოში ყოფილმა ჟურნალისტმა, შემდგომში კი ფიფას აგენტმა აკა ტონიამ ჩამოიყვანა, რომელიც პირდაპირ ამბობდა, რომ გერმანულ მწვრთნელს 800 ათასდოლარიან წლიურ ხელფასზე შეუთანხმდა.

ტონია საქმეს იმ მოტივით ჩამოაცილეს, რომ მენეჯერი გარიგების ფასს აძვირებდა და თავად წელიწადში... ორ მილიონ ევროზე შეუთანხმდნენ. დაგვეთანხმებით, უცნაური „ეკონომია“.

ნაკრების მწვრთნელს ხელფასს სახელმწიფო უხდიდა და წარმოუდგენელია, ეს ამბავი არ სცოდნოდა იმ ხალხს, ვინც საძინებელში ფარულად ათასობით ადამიანს აყურადებდა და მნიშვნელოვან თუ ნაკლებად მნიშვნელოვან პირთა პირად თუ საჯარო ცხოვრებაზე ყველა მნიშვნელოვან ცნობას აგროვებდა.

ტონიას მიერ საჯაროდ გაკეთებული ამ განცხადებების შემდეგ, რომ თითქოს ტომპიოლერი საქართველოს ნაკრებში 800 ათას დოლარად მუშაობას დათანხმდა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, მას მაინც ბევრად ძვირი კონტრაქტი გაუფორმეს. ვითომ, რაზე გამოუპარათ? საეჭვოა.

ყოფილი ნაციონალის აღსარება

თბილისის საკრებულოს წევრი მიხეილ ქავთარაძე ყოფილი ხელისუფლების პირველი წარმომადგენელია, რომელმაც ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებში სახელმწიფოს ჩარევაზე ღიად ილაპარაკა. ეს 2013 წლის 23 აპრილს ტელეკომპანია „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში დავით აქუბარდიასთან სტუდენტობისას მოხდა.

„მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებას მხოლოდ ერთი პიროვნება, პრეზიდენტი იღებდა. ვინც განსხვავებულ აზრს გამოხატავდა, ის უფურცელოდ რჩებოდა ან თამაშიდან გადადიოდა. ეს ერთი კაცი იღებდა გადაწყვეტილებებს გარაჟების აღებაზეც, ომის დანებებაზეც და ნებისმიერი სპორტული ფედერაციის პრეზიდენტის დანიშვნაზეც.“

„ნაციონალურ მოძრაობაზე“ პირველად გული 2007 წელს ავიტრეუე, როდესაც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად კანონიერად არჩეული ჩემი მეგობარი და დღევანდელი თანაფრაქციელი გიორგი ნემსაძე პრეზიდენტმა ერთი სატელეფონო ზარი გადააყენა. მე გიორგის ნაცვლად ლაპარაკი არ მსურს, მაგრამ ახლა ამის უფლება მაქვს, რადგან ჩემი ახლო მეგობარია.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ზრანსა ულანდმა ტურნე სამხრეთ კავკასიაში დაიწყო აზერბაიჯანში ვიზიტით, საიდანაც იგი შემდეგ გაემგზავრება სომხეთსა და საქართველოში. პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს მგზავრობა მიმდინარეობს დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობებში დაძაბულობის გამწვანების ფონზე უკრაინის კრიზისის გამო.

მიუხედავად უკრაინის კრიზისის კვლავ დაძაბული ქარიშხლისა, კვირას საღამოს ზრანსა ულანდმა დაიწყო ტურნე სამხრეთ კავკასიაში ილქამ ალიევის ავტორიტარულ აზერბაიჯანში ვიზიტით. ამ მოგზაურობამ, რომლის ფარგლებშიც საფრანგეთის ლიდერი ჩავა, ასევე სომხეთში და საქართველოში, უნდა „განამტკიცოს საფრანგეთის ყოფნა“ ევროკავშირის აღმოსავლური პარტნიორობის ქვეყნებში. და ამ დროს არ გამოიწვიოს რუსეთის გალიზიანება, რომელიც პროექტს განიხილავს, როგორც მცდელობას შექმნას დაპირისპირება მის გავლენასთან პოსტსაბჭოთა სივრცეში. გავიდა ზუსტად ოცი წელი ნდობის მიღწევის შემდეგ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელმაც დასაწყისი მისცა კონფლიქტის გაყინვას სომხეთისა და აზერბაიჯანის კონფლიქტთან დაკავშირებით მთიანი ყარაბაღის გარშემო. საფრანგეთი, როგორც მინსკის ჯგუფის (იგი უკვე მრავალი წელიწადია, ცდილობს მონახოს კრიზისის მშვიდობიანი გადაწყვეტა) თანათავმჯდომარე, იმედოვნებს უბიძგოს მოლაპარაკებების დაწყებას.

ოლანდი კავკასიაში

„გასაგებია, ამჟამად ყველას თავში უკრაინა უტრიალებს“, — კომენტარს უკეთებს სიტუაციას ელისეის სასახლის მრჩეველი. კრიზისმა, რომლის დასაწყისიც გახდა ყირიმის რუსული ანექსია, ბაქოში სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. ყველა, ვინც ამჟამად დასეირნობს კასპის ზღვის სანაპიროს ნავთობის ორთქლის ატმოსფეროში, უმთავრესად ჩამოვიდა აქ ყვავილების დღესასწაულზე და ღონისძიებაზე ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის დაბადებიდან 91 წლის ღონისძიებებთან დაკავშირებით. როგორც არ უნდა იყოს, არ გავა დღეც კი, რომ პარლამენტმა და ხელისუფლების კონსტრუქციულ მყოფმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა არ გამოთქვან შეშფოთება რუსეთ-უკრაინის კრიზისის შედეგებთან დაკავშირებით აზერბაიჯანისთვის. ამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას სპარსეთის, თურქეთისა და რუსეთის სამყაროთა გადაკვეთაზე სურს ღიად ყოფნა ევროპასთან, თუმცა, დიდი სურვილი არ ამოძრავებს ალიაროს მისი დემოკრატიული ღირებულებანი.

მეზობელ სომხეთში, რომელიც დამოკიდებულია რუსეთზე ეკონომიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით და ჯერჯერობით უარს არ აცხადებს შეუერთდეს ევროკავშირის აღმოსავლურ პარტნიორობას, დადებითად აღიქვას ყირიმის ანექსია: პარლამენტმა მას „ისტორიული შესაძლებლობა“ უწოდა ჯერ კიდევ 24 წლის წინათ ოკუპირებული მთიანი ყარაბაღისთვის. ერევანს იმედი აქვს გამოიყენოს პრეცედენტი (საზღვრების გადასინჯვა პოსტსაბჭოთა სივრცეში), რათა მიიღწიოს მთიანი ყარაბაღის ანექსიის აღიარება. საკუთარი სანაგებობო სიმდიდრეებით ფრთაშესხმული აზერბაიჯანი თავის მხრივ კრიზისის დაწყებიდანვე აკრიტიკებს „ორმაგი სტანდარტების პოლიტიკას“ და დასავლეთის

„პირფერობას“, რომელიც ანებს სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ ყირიმის ანექსიის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, მაგრამ სიტყვასაც არ ამბობს მთიანი ყარაბაღზე. ბაქოსთვის ჩვეულებრივად დამახასიათებელი იყო აზრი, რომ დასავლეთის გაფრთხილებები ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით არის უფრო მეტი საფრთხე, ვიდრე რუსული დაშინება. რუსეთ-უკრაინის კრიზისმა აიძულა ხელისუფლება შეეცვალოს აზრი. „პოლიტიკოსები მისგანდნენ, რომ რუსეთი დასავლეთზე უფრო საინფათოა, — მიაჩნია ადგილობრივ ექსპერტს ალტაი გეიუშევი. — მათ შეიმეცნეს, რომ თუ ვლადიმერ პუტინი მოინდომებს ხელში ჩაიგდოს აზერბაიჯანი, არავინ მივა მის დასახმარებლად. მათ იციან, რომ კრემლს სურს კონტროლზე აიყვანოს პოსტსაბჭოთა სივრცის საზღვრები ირანთან და მუსლიმანების სამხრეთ რესპუბლიკებთან“.

მისი სიტყვებით, ყველა დაპირება დააბრუნონ მთიანი ყარაბაღი, რაც რეგულარულად გაისმის ილქამ ალიევისგან (იგი საზღვარს მიუთითებს, რომ აზერბაიჯანს ამჟამად აქვს ისეთივე დიდი თავდაცვითი ბიუჯეტი, როგორც სომხეთს), მხოლოდ ცარიელი სიტყვებია. უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ერევანი და ბაქო ემყარებიან ორ ურთიერთგამომრიცხავ პრინციპს: ხალხთა უფლება თვითგამორკვევაზე სომხეთისთვის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა აზერბაიჯანისთვის.

ბაქოში ყველას კარგად ახსოვს საქართველოს სამხუხარო გამოცდილება, რომელიც 2008 წელს შეეცადა ძალით დაებრუნებინა რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონები, მაგრამ მას შემდეგ იძულებულია შეურიგდეს თავისი ტერიტორიის 20 პროცენტზე ფაქტობრივ დაკარგვას. „ჩვენ ძალიან პატარები ვართ, რომ გავიმარჯვოთ რუსეთზე“, — ამბობს ალტაი გეიუშევი. მას მიაჩნია, რომ დადგა დრო, „შევწყვიტოთ აზროვნება ტერიტორიის გაფართოების ცნებებით“. „ნაციონალიზმი არ შეიძლება იყოს პრობლემის გადაჭრა. თუ სამხრეთი კავკასიის ქვეყნებს სურთ გადარჩენ, ისინი უნდა გაერთიანდნენ და გადაწყვიტონ ყველა საკითხი კომპრომისების გზით თავის მეზობლებთან“.

რუსეთ-უკრაინის კრიზისი ცვლის ძალთა განლაგებას გეოპოლიტიკურ რუკაზე და მას შეუძლია მისცეს შანსი მთელ რეგიონს. „ყოველ შემთხვევაში, მთლიანად ყველა ყოფილ რესპუბლიკაზე კონტროლის აღდგენის პუტინის პროექტის წარუმატებლობის სიტუაციაში“. როგორც არ უნდა იყოს, ყველა აზერბაიჯანელი მეთვალყურე ერთი აზრისაა, რომ ვლადიმერ პუტინის ძალოვანმა სვლამ ყირიმისკენ და უკრაინის აღმოსავლეთში დაანგრია რუსეთისადმი ნდობის კაპიტალი. „ნანგრძლივ პერსპექტივაში არ არის გამორიცხული, რომ ვლადიმერ პუტინი დაკარგავს კავკასიას, — მიაჩნია ამ ოპოზიციონერ ანალიტიკოსს. — ალიანსმა რუსეთთან შეიძლება დაკარგოს თავისი ბრწყინვალე სომხეთისთვისაც კი, რომელიც დეზულობს ახალ ტერიტორიას, თუმცა, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობას კარგავს“.



დედაიძის ზურგზე



გრძელდება უნესრიგობანი ვენესუელაში: პროტესტის მონაწილეები თავს დასხნენ გურიზის საინისტროს შენობას

ვენესუელაში, სადაც თებერვლის შუა რიცხვებიდან მიმდინარეობს ანტისამთავრობო მანიფესტაციები და მასობრივი უნესრიგობანი, თავს დაესხნენ ტურიზმის სამინისტროს და მიკროდაფინანსების განვითარების ფონდს. შეტევები განხორციელდა მას შემდეგ, რაც პოლიციამ გაანადგურა კარგების ბანაკი, დაპატიმრებულია 240-ზე მეტი კაცი.

უნესრიგობანი უკრაინის ხელისუფლებას მოუწოდა, შეეწყოს ორმაგი მოქალაქეობა და თვითმპარტოვლობის შესაძლებლობა იმიგრაციის უნესრიგობისთვის



უნგრეთის მესამე ვადით არჩეულმა პრემიერმა განაცხადა ავტონომიის აუცილებლობის შესახებ იმ უნგრელებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ მეზობელ ქვეყნებში — ევროდ, უკრაინაში. ადრე უნგრელი ნაციონალისტები აყენებდნენ საკითხს იმიგრაციის შესახებ, „ჭეშმარიტი უნგრელები ოკუპაციის შესახებ“, შეგვანსებენ უკრაინელი უნგრელებისთვის. ორბანის სიტყვები გაისმა რეფერენდუმების ფონზე სამხრეთ-აღმოსავლეთი უკრაინის „დამოუკიდებლობის“ მხარდასაჭერად.

აუთოს ხელმძღვანელმა განაცხადა უკრაინის „საგზაო რუკის“ რეალიზაციის დაწყების შესახებ — იგი მოიცავს რუსეთის ფაქტობრივ, ანექსიის შეერთებაზე შეთანხმებას, ევროკავშირის და ჩინეთთან

„საგზაო რუკამ“ ხელი უნდა შეუწყოს უკრაინაში სიტუაციის გამწვანების დეესკალაციას და იგი ვრცელდება შენგენის 17 აპრილის შეხვედრის ყველა მონაწილეზე. იგი ითვალისწინებს ოთხ ძირითად ბლოკს — ესენია უარი ძალადობაზე, განიარაღება, ეროვნული დიალოგი და ქვეყანაში 25 მაისს პრეზიდენტის სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარება.

აუთ და ჩინეთი შეხვედრიან, მიიღონ ბირთვული იარაღის აკრძალვის სტატუსს ქორეის ნახევარკუნძულისთვის, სადას კიდევ ერთხელ ჩაიღებენ გამწვანება

ორივე ქვეყანა შეშფოთებულია ჩრდილოეთი კორეის მომზადებით მეოთხე ბირთვული გამოცდისთვის და ქვეყნის ამასწინანდელი დაპირებებით, მოაწიონ ბირთვული აფეთქებები ყოველწლიურად. ეს ყოველივე ხდება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და კორეის რესპუბლიკას შორის მორიგი შეურაცხმყოფელი განცხადებების გაცვლების ფონზე.

სოდომისკენ პერი, პერი!!!

საერთაშორისო კონკურსის „ევროვიზია 2014“-ის გამარჯვებულმა 25 წლის ავსტრიელმა კონჩიტა ვურსტმა, იგივე ტომას ნოვიგრტმა „ევროვიზიის“ მაცურებელი შოკში ჩააგდო, როდესაც ცენზურა სტერეოტიპის დამსხვრევა მამრობითი და მდედრობითი სქესისთვის დამახასიათებელი გარეგნობის სტანდარტის შერწყმით გადაწყვიტა.

ადამიანი, რომელმაც თავისი იმიჯით აღმოსავლეთ ევროპა განარისხა, დაქორწინებულია. მისი პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციას გერმანული გამოცემა Bild აქვეყნებს და ტაბლოიდის ვებგვერდზე ფოტოსაც აქვეყნებს, სადაც საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული მამაკაცს კონცის. ფოტოს თან ერთვის ტექსტი, „კონჩიტა ვურსტი უკვე გათხოვილია და თანაც რამდენიმე წელია. მისი რჩეული ჯასკუს პატრიკია, რომელიც პროფესიონალი მოცეკვავე და მოდელია. მათ სამორწინო ცერემონია 2011 წელს ხელახლა გადაიხადეს“.

კომენტარი მართლაც ზედმეტია. მაგრამ ერთს კი ვიპოვეთ: ამათქან მივისწრაფვით?



„მსუქანი“ ეკონომიკა

ისმმ ნაციონალურმა უნდა დაეინფო. შეიძლება ამ თემის გაშუქება ნაცების წინამორბედი მოქალაქეებთან დაგვეწყოს, მაგრამ, დამერწმუნებით, ამას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. იმ ავადმოსაგონარ კომუნისტების შემდეგ ხელისუფლებაში მოსული მთავრობები ისე გაჭრილი ვაშლივით ჰგავნან ერთმანეთს, რომ ბევრს, მათ შორის ისეთ ჭკუადაამჯდარ პოლიტიკოსსაც კი, როგორც ნათელაშვილია, შეიძლება იგანიშვილი სააკაშვილიც კი აერიოს, თანაც გიბტიციოს, - დედას გვედინებო, არაფერი მემსლება, ჩემი ბაგენი სრულ ჭეშმარიტებას ლაღვებენო.

შალიკოსთან შეკამათებას არ ვაპირებ, მინდა, რეალობაზე დაყრდნობით, ცალკე ნაცების და ცალკე კიდევ „ქართული ოცნების“ ნაკეთები საქვეყნო და სათავისო საქმეები წარმოვაჩინო, თანაც ისე ფრთხილად და ობიექტურად, რომ მათ ერთმანეთთან საკამათო და სადავიდარაბო აღარაფერი ჰქონდეთ. თუმცა, ხალხში გავრცელებულ აზრს თუ დავუჯერებთ, ევროპიდან თავისმოხვეულმა კოპაბიტაციამ ისინი იმდენად შეათანაწყო და შეახმატებია, რომ ტყუპად ნაშობი ძმების არ იყოს, უერთმანეთოდ ვეღარც კი ძლებენ. ამის დასტურია თვითმმართველობის მოახლოებული არჩევნებიც, საიდანაც ჩანს, ნაცები მმართველ პარტიასთან ერთად ბარაქიან შედეგს მოელოან.

მაგრამ კოპაბიტაციურმა ძმებმა თავიანთი დაპირებებით ამ არჩევნებშიც ისე რომ არ გაგვაბრუნონ, როგორც წინა, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისას, ალბათ, აჯობებს, ერთხელ კიდევ გავანალიზოთ, რა მოგვიტანა რეალურად მათმა ხმაურთან დაპირებებმა? ყველას გვახსოვს, „ვარდებით“ მოსული სააკაშვილი და მძინი მისნი როგორი ხალი-სითა და რუდუნიებით გვიმრდებოდნენ ქვეყნის აყვავებას, კორუფციის აღმოფხვრასა და ხალხის კეთილდღეობის ზრდას, მაგრამ რეალურად რასა გვნიჭეს? მათ საგადასახადო წნეხებითა და ყოველდღიური დაყარალებით მართალია საქმის კეთების ენთუზიასტ ბუნესმენებს გამდიდრების შანსი კარგა ხნით დააკარგინეს, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდი რუდუნებით იზრუნეს ელიტარული კორუფციის ასაყვავებლად, რომლის წყალობითაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა და მისმა სამხაველო არნახულ სიმდიდრეს გამოჰკრეს ხელი. დღეს მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ერთიანი დიქტატორებისა და მუსულმანი შეიხების გარდა, არც ერთ პრეზიდენტს არ უცხოვრია ისეთი ფუფუნებით, როგორც იცხოვრა ულატაკის ქვეყნის „ფარაონმა“ სააკაშვილმა.

„ფარაონის“ შემყურე „ნაციონალიზმის“ არც სხვა ლიდერები აკლედნენ ხელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების დატაცებას, რასაც ისინი „გამარჯვებული“ პრემიების სახით იჯიბავდნენ და თან გვარწმუნებდნენ - ქვეყანაში რეფორმებს ვატარებთ, ეკონომიკას ვავითარებთ, საქართველო მაღალგანვითარებულ სახელმწიფოთა პირველ რიგებში გაგვყავსო. ალბათ „მართალიც“ იყვნენ, სწორედ ამ „დიდი აღმშენებლის“ პერიოდში, შიდა ქართლის გუბერნატორმა ლადო ვარძილაშვილმა მთელ მსოფლიოში პირველმა მოახერხა 2009 წლის 20 იანვარს დაენერა ბრძანება საკუთარ თავზე - ყოველთაშორის პრემიის სახით 2950 ლარი გამოეწეროს! ამა როგორ, საქმეებით გადატვირთულ გუბერნატორს სად ეცალო იმისთვის, რომ ყოველთვიურად ბრძანებები ეწერა. ერთხელ ძლიერ მოიხილა დრო საამისოდ და იმის მიუხედავად, კარგად მუშაობდა თუ ცუდად, ეკუთვნოდა თუ არა პრემია, თავს მაინც აიძულებდა, თანხა უკლებლივ აეღო. რას ვიზამთ, ასეთი „გენიოსები“ ჰყავდათ ნაცებს ადგილებზე მმართველებად და დროს სულელური ბრძანებების წერაში ხომ არ დააკარგვინებდნენ!)

ლადოს დანყებული „ნოვაცია“ შემდგომში ბევრმა წამბაკველმა აიტაცა. კობა სუბელიანიმ, მაგალითად, დეენილთა და განსახლების მამინდელმა მინისტრმა, სამი წლის განმავლობაში საკუთარ თავს 285 ათასი ლარი პრემია გამოეწერა. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა დეენილთა შემწევობა 22-22 ლარს არ აღემატებოდა. სწორედ იმ

ხანებში იყო, რომ სოციალურად გაჭირვებულმა ნანა ფაჟავამ, რომელიც სამინისტროსგან მცირე დახმარებასაც ვერ ელირსა, ხალხის თვალწინ თავი დაიწვა. აქვე არ შემოიძლია არ გავიხსენო ნაცების ბატონობის ბოლო პერიოდში დაწინაურებული ანდრო ბარნოვი, ამჟამად სააკაშვილის მიერ დაუსწრებლად გახსნილი საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში დიდ საგანმანათლებლო მოღვაწედ რომ მოგვევლინა, ქვემო ქართლში გუბერნატორად დანიშნვიდან მე-9 დღესვე 2000-ლარიანი პრემია რომ ჩაიჯიბა. ბატონო ბიბლიოთეკარო, იმ ცხრა დღეში იმდენი რა შექმენი ქვეყნისათვის, რომ დაუჯილდოებლად ღირსება დაგემცრობოდა?!

ბევრი რომ არ გაავარძელო, ქვეყნის მხსნელებად მოვლენილი ნაცები, სინამდვილეში ქვეყნის მყველფავეები აღმოჩნდნენ, მიუხედავად სახელმწიფო ბიუჯეტს და ათასგვარი კორუფციული სქემებითა და „დამსახურებული პრემიებით“ უკანასკნელ გროშამდე გამოხრეს. ამათ შემყურე ხალხმა, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, იფიქრა, ახლა ნამდვილად გვეშველება, იგანიშვილს იმდენი ცხოვრებ-ქონება აქვს, ჩვენსას

მთავრობის კანცელარიის უფროსი მაია ცქიტიშვილი აწერდა. მან 10 დეკემბერს, 21 დეკემბერს და 28 დეკემბერს პრემიები და „სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისთვის, ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით გამოყო. არც თავად ცქიტიშვილმა დაიხარა თავი და დეკემბერში ორჯერ (10 დეკემბერს და 21 დეკემბერს) პრემიის სახით 12390 ლარი მიიღო. კანცელარიის უფროსი უფრო გულუხვი აღმოჩნდა სხვების მიმართ, რომელთაც სამსაჯუროც კი ჩამოურიგა პრემიები. შალვა თადუმაძემ, მაგალითად, 10 დეკემბერს - 5175, 21 დეკემბერს - 5075, ხოლო 31 დეკემბერს - 625 ლარი პრემია აიღო. ასევე სამჯერადი პრემიებით დაიმშვენეს საახალწლო სუფრა ნონა ყანდიაშვილმა, მანანა თოქმაჯიშვილმა, მაია მენდარიშვილმა და სხვებმა. სულ, 20 დღეში, მთავრობის კანცელარიაში 340 ათას ლარზე მეტი პრემია გაიცა.

მაგრამ პარლამენტარები? თავის დროზე, როცა პარლამენტში ახლადარჩეული იყვნენ, არც ისინი დარწმუნლან გულნაკულნი. პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა მაშინ პრემიად 9162 ლარი დაიმსახურა, მანანა კობახიძემ - 8662 ლარი, მურმან დუმბაძემ - 8831, ზურაბ აბაშიძემ - 8589, გიორგი ბარამიძემ - 8562, დავით ონოფრიშვილმა - 7631, ირინე იმერლიშვილმა - 7577, ზაქარია ქუცუნაშვილმა - 7504 და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. აქვე უნდა შევნიშო, „ნაციონალური მოქალაქეობის“ სანაქებო მუშაობისთვის პრემიის ღირსად ცნეს მხოლოდ გიორგი ბარამიძე, რაც უმრავლესობის მხრიდან უმცირესობის აშკარა ჩაგვრაზე მიგვანიშნებს(!).

ვერ გეტყვი, ნაცები ასეთ დისკრიმინაციას როდემდე გაუძლებენ, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი თავიანთ კოპაბიტაციურ ძმებს გასაწირად მაინც ვერ იმეტებენ და ფრთხილობენ: არაფერი შეგვეშალოთ, ახლა ეკონომიკის მმართველობის ზრდით რომ ამავობთ (ციფრებით განსაკუთრებით ხადურს უყვარს თავის მოწონება), თავის დროზე ჩვენცა გვექნება უფრო აყვავებული ეკონომიკა, მაგრამ ხალხმა არ გვაპატივა, ჩვენ რომ უზომოდ გავცხებით და ისინი მშვიდობით დავტოვოთ. გაითვალისწინეთ ეს და მიხედეთ თავს, თორემ იგივე დაგემართებათ, რაც ჩვენ ვინწინეთო. იქვე ამბობენ, ბოლოს და ბოლოს თუ გონს არ მოგვებით, იძულებული გაგხდებით, ხელისუფლება დაგატოვებინოთ და ჩვენი ძველი და თქვენი ახალი შეცდომები ბირადად ჩვენ, ევროპა-აფრიკაში გზანაკვალავმა ნაცებმა გამოვასწოროთ.

შოდა, როცა ნაცებს ასერიგად „შესტკივით“ გული მეოცნებეთა წარუმატებლობაზე, რა გასაკვირია, თუ ხალხს, რომელმაც ეს ხელისუფლება მოვიყვანეთ, მართლაც გეტკივა გული იმის გამო, რომ წინასწარჩვენულ შეხვედრებზე ბევრს გვეპირდებოდნენ და ცოტასაც ძლივს გვისრულებენ. ვერ გამოგია, რანაირად შეიძლება იმ ქვეყანაში სოციალურ სამართლიანობაზე საუბარი, სადაც მინისტრს, გენერალს, სხვა ჩინოვნიკს, პენსიონერზე 60-ჯერ მეტი შემოსავალი (ხელფასი) აქვს, 100 ათასად ღირებული „ჯიპებით“ დაგერილობენ და თავიანთთვის მრავალათასიან პრემიებს იწერენ?

როგორ გგონიათ, ამ ხალხს, თავი ევროპელებად რომ წარმოუდგენიათ, ვითომ ევროპული ღირებულებებისა რამე გაეგებათ? - სვამს კითხვას პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე და თავადვე პასუხობს: არა, ასეთი რადიკალიზმი ევროპაში არ ხდება. ვერ გამოგია, რით ვერ გაძლია ამათი მუცელი როგორც დღეს ჩვენი ჩინოვნიკები ცხოვრობენ, ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში ასე რომ იცხოვრონ, მაშინვე პანჩურით გაყრან...

...გაყრან რა მოგახსენოთ, მაგრამ ხალხის არჩეული ხელისუფლება რომ პირველ რიგში ხალხზე უნდა ზრუნავდეს და მერე საკუთარ თავზე, ამ ჭეშმარიტებას ალბათ, ნაცებთან ერთად, ვერც „ქართული ოცნება“ გაეცქევა. არავის აქვს უფლება, ამბობდა მაშათმა განდი, მაძლარი იყოს, თუკი მის ქვეყანაში ერთი მშვიერი მაინც დადისო. რა თქმა უნდა, იმ ქვეყანაში ის მარტო ინდოეთს არ გულისხმობდა.

ოთარ ხუციშვილი

საგარეო ვაჭრობა

სამხრეთი კავკასიაში რუსეთის მთავარი სტრატეგიული პარტნიორი სომხეთი რომაა, დიდი ხნის ცნობილი ამბავია, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ქვეყნის ევრაზიის საბაჟო კავშირში განვრცობით, რის თაობაზე სათანადო დოკუმენტს მინსკში 29 აპრილს ამ ორგანიზაციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მოეწერა ხელი.

იმის მიუხედავად, რომ ევრაზიის საბაჟო კავშირში სომხეთის განვრცობის პროცესში ჯერჯერობით დადებითი არ არის და შემდგომი მოლაპარაკებების საგანია, საქართველოს ეკონომიკისთვის ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ უახლოეს მომავალში ჩვენგან უცხოური ავტომანქანების რეექსპორტი უარესად შეიკვეცება. არადა, ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში ამ სეგმენტს, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში, ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია ეკავა. საქმე ისაა, რომ 2011 წელს შექმნილ ევრაზიის საბაჟო კავშირის წევრ ქვეყნებში - რუსეთში, ბელარუსში, ყაზახეთსა და ახლა უკვე სომხეთში - განბაჟების ერთიანი ტარიფი მოქმედებს, ამრიგად ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან სასაქონლო ვაჭრობისას საკმაოდ დიდი საბაჟო გადასახადებია დანესებული. აქვე იმასაც დავძენთ, რომ, რუსეთის მთავრობის განცხადებით, მომავალი წლისთვის საბაჟო კავშირი, ევროკავშირის დარად, ევრაზიის ეკონომიკურ კავშირად გარდაიქმნება.

დღესდღეობით მოქმედი საბაჟო კავში-

რას ბინახავთ, პეღარ ნახავთო!

ანუ ავტომანქანების რეექსპორტის ხანის დასასრული

რის წევრ ქვეყნებს ერთიანი საბაჟო სივრცე აქვთ, რომლის ფარგლებში ტვირთები არც საბაჟო გადასახადებებით იბეგრება, მათზე არც ეკონომიკური შეზღუდვები ვრცელდება და, ფაქტობრივად, სავიზო რეჟიმიც გაუქმებულია. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, კავშირის წევრ ქვეყნები ერთიან საბაჟო ტარიფს, მესამე ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობაში სხვა ერთობლივ ზომებსაც იყენებენ.

მას შემდეგ, რაც საბაჟო კავშირის პირველ ორ წევრს, რუსეთსა და ბელარუსს, მესამე წევრი - ყაზახეთი შეუერთდა, მათ ტერიტორიაზე, როგორც აღვნიშნეთ, ერთიანი საბაჟო ტარიფი ამოქმედდა, რის შემდეგაც უცხოური ავტომანქანების განბაჟების საფასური, ძველთან შედარებით, ხუთჯერ და მეტადაც გაიზარდა. არადა, ყაზახეთის საბაჟო კავშირში განვრცობამდე საქართველოდან ამერიკული და ევროპული მსუბუქი ავტომანქანების რეექსპორტში პირველ ადგილზე სწორედ ეს ქვეყანა იყო, საქონელბრუნვის მოცულობით მომდევნო ადგილებზე კი აზერბაიჯანი, სომხეთი და, ნანოლობრივ, თურქე-

თი იყვნენ. ყაზახეთის საბაჟო კავშირში განვრცობამ საქართველოდან ამ ქვეყანაში მსუბუქი ავტომანქანების რეექსპორტს, ფაქტობრივად, ბოლო მოუღო. ახლა კი, თითქმის ასპროცენტიანი დანამდვილებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგივე ბედი ელის მათ სომხეთში გატანას. ეს კი, პირველ ყოვლისა, საგარეო ვაჭრობის ამ სეგმენტზე ძალიან ცუდად აისახება და ბიზნესის ამ სფეროში დაკავებულ საქართველოს მოქალაქე ავტოდილერებს უსაქმოდ დარჩენას უქადის. ამ პესიმისტური პროგნოზის საფუძვლიანობას, ვფიქრობთ, ბევრი ახსნა არ სჭირდება: სომხეთის საბაჟო კავშირში განვრცობის შემდეგ იქაურ ავტოდილერებს საქართველოში ავტომანქანების ყიდვა და მერე ქვეყანაში შეტანა იმდენად გაუძვირდება, რომ ვაჭრობა აზრს დაკარგავს, რადგან მანქანების ამჟამინდელი საშუალო ფასი 4-5 ათასიდან ერთბაშად 15 ათასი დოლარის ფარგლებში მოექცევა! ამით, ცხადია, თავის მხრივ სომხეთის მოქალაქე ავტოდილერებიც იზარალებენ, არადა, არსებულ მონაცემებით, ამ საქმიანობით იქ დაახლოებით

ათი ათას კაცამდეა დაკავებული. ამით, ცხადია, უწინარესად, რუსეთის საავტომობილო მრეწველობა იხიერებს, რომელიც უცხოურ ავტომანქანებთან შედარებით საკუთარ გაცილებით დაბალხარისხიან პროდუქტის ბელარუსის, ყაზახეთისა და ახლა უკვე სომხეთის ხარჯზე დაახლოებით მესამედით გაზრდილ ბაზარზე გაცილებით უპრობლემოდ გაყიდის. თავად განსაჯეთ: ხუთ წელზე უხრესი ავტომანქანის 3 ათას კუბურ სანტიმეტრამდე სიმძლავრის მქონე ძრავის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე განბაჟების ტარიფი 4 ევროა, უფრო მეტი სიმძლავრისაზე კი - 5,8 ევრო!

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ საბაჟო კავშირში სომხეთის განვრცობა, როგორც ჩანს, მარტო ევროპიდან და ამერიკიდან შემოტანილი მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტზე კი არა, ჩვენი საგარეო ვაჭრობის სხვა სეგმენტებზეც აისახება, აქედან გამომდინარე კი საჭირო იქნება გასაღების სხვა ბაზრების ძიება. ეს ყველა დონის, მათ შორის მძლავრი ეკონომიკების მქონე ქვეყნებისთვისაც კი ყოველთვის იყო და ახლაც ერთი უმთავრესი პრობლემაა, რომელთან გამკლავება მხოლოდ საკუთარი მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებითაა შესაძლებელი.

ალტერნატივა, უბრალოდ, არ არსებობს.

ოთარ ტურაბელიძე

© ისინი საგზოაღმოსვლის იზრძოლებენ

# ბროლით განვლილი კილომეტრები

9 მაისის ზემის დღეებში, ქართველი ხალხი დიდი მადლიერების გრძობით იგონებს იმ რკინის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ფაშისტურ გერმანიასთან მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებაში. ერთ-ერთი მათგანია, გვარდიის პოლკოვნიკი შიმონი შიშინაძე, რომელმაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, გადაწყვიტა ოფიცერი გამხდარიყო. სოფელ სამისკურის (სოხის რაიონი) მკვიდრმა, ნანატრი ოცნება 1923 წელს აისრულა, როცა გაერთიანებული მეთაურთა სკოლის კურსანტი გახდა. რამდენიმე წლის შემდეგ, მან წარმატებით დაასრულა სამხედრო სკოლა და ოფიცრის ტიტული მოიპოვა. მას შემდეგ ვიქტორ ქირიას სხვადასხვა თანამდებობა ეკავა. იყო ოცეულის მეთაური, ასეულის მეთაურის მოადგილე პოლიტიკურ დარგში, დივიზიის პოლიტიკური განყოფილების ინსტრუქტორი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს ინსტრუქტორი, საარტილერიო სამმართველოს კომისარი და სხვა.



დიდი სამამულო ომის ყველაზე კრიტიკულ მომენტში — 1942 წელს, პოდპოლკოვნიკი ვიქტორ ქირია, სტალინგრადის დამცველთა რიგებში იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ, მისმა საბრძოლო შენაერთმა უკრაინის მესამე ფრონტის შემადგენლობაში გადაინაცვლა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო, იასი-ვიშნიოვთან გამართული საბრძოლო ოპერაცია, სადაც საბჭოთა ჯარებმა მუსრი გაავლეს ალყაში მოქცეულ გერმანელთა რამდენიმე დივიზიას. ამ სისხლისმღვრელ ბრძოლებში, უკრაინის სამი ფრონტის რჩეული შენაერთები იბრძოდნენ. ისე მოხდა, რომ საბრძოლო დივიზიების გადაჯგუფების დროს, უკრაინის მესამე ფრონტის შემადგენლობაში შემავალი 41-ე გვარდიული დივიზიის 124-ე ლეიონი, რომელსაც ჩვენი წერილის გამომცემი ოფიცერი ვიქტორ ქირია ხელმძღვანელობდა, ერთ პატარა სოფელში დაბანაკდა. ტყის პირას ერთმანეთს ღვიძლი ძმები, სერ-

მაგალითით აღაფრთოვანებდა თანამებრძოლებს. 1945 წლის 4 აპრილს, ბუდაპეშტი განთავისუფლდა. ლეიონის მეთაური სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. მაისის დასაწყისში, ამავე ლეიონის მემორებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ავსტრიის უმშვენიერესი დედაქალაქის — ვენის განთავისუფლებაში.

„გვარდიის პოლკოვნიკი ვიქტორ ქირია, საუკეთესოდ ითვლება 41-ე დივიზიის შემადგენლობაში. იგი ცნობილია, როგორც სამართლიანი და მომთხოვნი მეთაური. გამორჩევა შესანიშნავი ცოდნით და ძალიან ხშირად დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს იღებს, რაც წარმატებით მთავრდება“, — აღნიშნულია მის საბრძოლო დახასიათებაში, რომელსაც ხელს აწერს დივიზიის მეთაური, გენერალ-მაიორი კონსტანტინე ცვეტკოვი.

საბჭოთა არმიის მებრძოლები სწორედ ვენაში შეხვდნენ ამერიკელ მოკავშირეებს. ამ უკანასკნელებმა მდინარე დუნაი გადმოლახეს და მეგობრულად გადაეხვივნენ საბჭოთა ჯარისკაცებს. ორი დიდი გამარჯვებული ქვეყნის ჯარისკაცების შეხვედრის შემდეგ გართულ ზეიმზე, ამერიკის შეერთებული შტატებისა და უკრაინის მესამე ფრონტის ხელმძღვანელთა გადწყვეტილებით, ამ დივიზიების ოფიცერთა ჯგუფები, ორდენებითა და მედელებით დააჯილდოვეს. აშშ-ს საბრძოლო დიდების მედალი გადაეცა პოლკოვნიკ ვ. ქირიასაც. 1953 წელს იგი მსახურობდა ქალაქ პოტსდამის (გდრ) საოკუპაციო ჯარების შემადგენლობაში. 1954 წელს სახელოვანი ოფიცერი გადადგა. მან მუშაობა გააგრძელა ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის მასწავლებლის თანამდებობაზე. ომგადახდილი მემორარი დააჯილდოებული იყო ლეონის, ორი ნიჟელი დროშის, ამდენივე სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენებითა და 15 საბრძოლო მედალით. 1987 წელს, ომის ვეტერანი 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია საბურთალოს საზოგადოებრივი პანთეონის შესასვლელში.

**შალვა ძორიძე,**  
ვეტერანი ჟურნალისტი.  
სურათზე: პოლკოვნიკი ვიქტორ ქირია.

© კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

- ჯიბლუ ნოინი ჯობდა! ის მაინც ვიცოდით, ზუსტად რამდენი ვიყავით!
- დღეს არც ცემა, არც პრაკურატურა? ფუი! არადა ჯერ კოჰაბიტაციის, მერე მასონების და ბოლოს ქართველი ხალხის ბრალია ყველაფერი! (ქართველი ხალხი, როგორც ყოველთვის, ბოლო პოზიციაზეა).
- ბავშვმა ფუნთუშა რო მოიპაროს, ან მოხუცმა კაცმა ავტობუსში ბილეთი რომ ვერ აიღოს, მთელი საპატრულოები სირენებით, პრაკურორები, ვერტიფრენები და ნატოს ჯარები ჩაერევიან!

რა გახდა ეს „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტების „მოპოვებული“ მასალები, წარმომავლობასაც რო ვერ გეტულობენ? იმაზე აღარაფერს ვამბობ, ის აპარატურა სად გაქრა!!!

- ალაპარაკეთ ვინმე მოქმედი პროკურორი, მოსამართლე, ან შსს-ს წარმომადგენელი, ვინც მსგავსი საკითხები იცის და უშუალოდ საქმის კურსშია, თორე ვის რაში აინტერესებს კოჰორიძის, ლაშა ტულუშის, ზვიად ქორიძის და მსგავსი ტიპების ზოგადსაკაცობრიო პათოსით გაჟღენთილი კომენტარები.
- კაცო, ერთი რაღაცა ვერ გავიგე, თუ ამ პოლიტიკოსებს აქვთ უფლება შეიცვალონ შეხედულებები და შესაბამისად პარტიები: ხან მემარჯვენეები იყვნენ, ხან მემარცხენეები, ხან ერთს იძახდნენ და ხან — მეორეს, ჩვენ არ გვაქვს ამის უფლება, უბრალო მოკვდავებს?



20 წლის წინანდელი რეფერენდუმის შედეგებს რომ გვიფრიალებენ ცხვირნინ, ნატოში გვინდა შესვლა ქართველებსო, ეგა 20 წლის წინათ იყო და მაშინ გვეგონა, რომ ვერევე მიგვიღებდნენ. 20 წელი გავიდა და იქნებ აღარ გვინდა, აბა ერთი ამ არჩევნებთან ერთად ერთად ქალაქი ჩაამატეთ შეკითხვით, გინდა თუ არა ნატოში, აი მერე ნახავთ ახლა რა უნდათ ქართველებს.

- ევროვიზიის ჟიურიში გიორგი გაბუნია, გეგა ფალავანიძე ვილი და სტეფანე იყვნენ?
- რამდენიმე ჩემმა ძალიან საყვარელმა მეგობარმა აღნიშნა, მთავარი, როგორი ხმა ჰქონდა იმ კონჩიტას, ბოლო-ბოლო „ევროვიზია“ ხომ სიმღერის კონკურსიაო?!

აბსოლუტურად, სამართლიანი შენიშვნაა, მაგრამ... მე კონჩიტას სიმღერა არ მომისმენია და სიმართლე გითხრათ არც „ევროვიზია“ წარმოადგენს ავტორიტეტულ კონკურსს ჩემთვის. ერთადერთი, დიმა ბილანი გამიგია, ვინც „გაიქარა“ მაგ კონკურსიდან და მისი შემოქმედებაც არ მომწონს.

რაც შეეხება, კონჩიტას. მისი ჩაცმულობა და გარეგნობა გათვლილი იყო იაფფასიანი ეფექტის მოხდენაზე, რასაც, როგორც წესი, მაშინ მიმართავენ ხოლმე, როდესაც რაიმეს გადაფარვას ცდილობენ!

მისი გარეგნობა, ჩემი აზრით, იყო მყარების უპატივცემულობა და მის პატრონს კარუზოს ხმაც რომ ამოსდობოდა, მაინც მიუღებელია ჩემთვის! „მოსიარულე მკვდრების“ პერსონაჟს მივამგვანე, ან მუტანტს!

ჯორჯ მაიკლი ან ელტონ ჯონი ავიღოთ, რომლებიც კონჩიტას, სიმღერის გარდა, იმ ამბავშიც სჯობნიან, ისინი კი არ კადრულობენ ასეთ ფორმაში მყარების წინაშე გამოსვლას! და არა მგონია, პირველივე გამოსვლაზე ეთქვათ მყარებისთვის, პიდარასტები ვართ, ხალხო!

დაბოლოს, „ევროვიზია“ ხომ საესტრადო სიმღერის კონკურსია და არა საოპეროსი, მარტო ვოკალი და ხმა რომ იყოს მთავარი?

სტენაზე მოქცევას, ესთეტიკასაც ხომ უნდა ექცეოდეს ყურადღება?

აი, ამიტომ არ მიმარჩნია, „ევროვიზია“ და „სოპოტი“ ავტორიტეტულ კონკურსებად და სულ რომ არ გავგზავნოთ შემდგომში არავინ, არაფერი დაგვაკლდება. ისე, მარინა ბერიძის აზრი ძალიან მაინტერესებდა რა!

ამოკრიბა  
ბიბა ბაბრიჭიძე



© ინფორმაცია

# შემუშავდა სკოლისთვის მოგზაუბრის პროგრამა

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, სკოლისათვის მზაობის ხელშეწყობის პროგრამას სამინისტრო 5 წლის ასაკის ბავშვებისათვის განახორციელებს. — პროგრამის ფარგლებში, სკოლისთვის მზაობის სასწავლო-სააღმზრდელო მეთოდოლოგიური მასალა შეიქმნება, რომელიც შენაბამისობაში იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კლასის პროგრამასთან. მასში ყურადღება გამახვილდება ბავშვის ყოველმხრივ განვითარებასა და სკოლისთვის მზაობის უნარ-ჩვევების

ფორმირებაზე, — აცხადებენ სამინისტროში. მათივე განცხადებით, პროექტის განხორციელების ფარგლებში, საქართველოში საერთაშორისო ექსპერტი სტეფან საიფერი იმყოფება, რომელიც ქართველი ავტორებისათვის სემინარებს მართავს. უცხოელი ექსპერტი ქართველ სპეციალისტებს კონსულტაციებს სკოლისათვის მზაობის კურიკულუმის შექმნის პრინციპებთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით უწევს.

© სხვათა კარიკატურები



სტომატოლოგიური კლინიკა

მასობრივი უამოწება 1 წლით გადაიდო

სტომატოლოგიურ რეგულაციებზე რეაგირება ერთი წლით გადაიდდა. ამ პერიოდის განმავლობაში ჯანდაცვის სამინისტროსა და სპეციალისტების შორის საბოლოო შეთანხმება უნდა მოხდეს. სტომატოლოგთა ასოციაციის ხელმძღვანელის ქეთევან გოგოლაშვილის ინფორმაციით, ტექნიკური მიმართულებით კლინიკების შემოწმება წელს აღარ მოხდება და ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ სამინისტროში პაციენტის საჩივარი შევა.

სტომატოლოგთა სამუშაო ჯგუფი 2-3 თვეში სამინისტროს მნიშვნელოვანი რეკომენდაციების პაკეტს წარუდგენს.

სტომატოლოგიური საქმიანობა ბოლო წლების განმავლობაში ძალიან სწრაფად განვითარდა. ამ

ველი ნაბიჯი სტომატოლოგიური კაბინეტის ფართის 14 კვ/მ-მდე გაზრდა არ უნდა იყოს. ქეთევან გოგოლაშვილი ამბობს, რომ სფეროში ბოლო 10 წელია, უკონტროლო ვითარებაა. შესაბამისად, ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივა მომსახურების კონტროლის გამკაცრებასთან დაკავშირებით მისასაღებელია.

სტომატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტის მტკიცებით, სტომატოლოგიური კაბინეტის მინიმუმ 14 კვ/მ ფართობის ცნება მოძველებულია. წამყვან ევროპულ ქვეყნებში სტომატოლოგიური კაბინეტისთვის დადგენილი სტანდარტი მინიმუმ 8 კვ/მ-დან იწყება.

სტომატოლოგიური კლინიკების ნაწილი რეგულაციების გადავადების საკითხზე ინფორმაციას არ ფლობს. როგორც „კომერსანტს“ „დენტასტილში“ განუცხადეს, მათი კლინიკა რეგულაციების ამოქმედებამდეც წესრიგში იყო და არავითარი პრობლემა არ შექმნიათ.

სტომატოლოგიური კლინიკა „ლაიფდენტში“ კი ამბობენ, რომ ისინი ფართის შეცვლას ორ თვეში აპირებენ და ამასთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროს უკვე მიმართეს.

საქართველოში, ექსპერტების გათვლებით 200000 ადამიანია „ცუ“ ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებული, რაც ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის 6,7%-ს შეადგენს. ასეთი მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთ მიზეზად სპეციალისტები წარმოადგენენ სტომატოლოგიური საქმიანობის უკონტროლობას ასახელებენ.

ზაქა დანელია



სტომატოლოგთა ასოციაციამ ჯანდაცვის მინისტრს სპეციალური განცხადებით მიმართა და რეგულაციების და დეფინიციების შესამუშავებლად შექმნილ სტომატოლოგთა სამუშაო ჯგუფში სამინისტროს წარმომადგენლების ჩართვა სთხოვა. ასოციაციის ხელმძღვანელის განმარტებით, სამუშაო ჯგუფში სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები - სტომატოლოგები, დაავადებათა კონტროლის ცენტრის თანამშრომლები და უფლებადამცველი შედიან. „უკვე ვმუშაობთ სხვადასხვა სტანდარტზე, ვეცნობით ამერიკულ და ევროპულ გამოცდილებას. ბევრი დეფინიციის ხელახალი გადახედვა გვმართებს. მაგალითად, არსად არ არის განმარტება, რა არის სტომატოლოგიური კლინიკა“, - ნიშნა გოგოლაშვილი.

ახლანან გამოვიდა

შემოწმების - საგზალი ყოველდღიური

დიდი შრომა გაუწევია, არქივებიც უქექია, რომ ეს საინტერესო იდეა განხორციელდებოდა. ქონიანი კონსტრუქციის - ცნობილი ისტორიკოსი. რა იდეა იყო ასეთი? უნდა შეედგინა შეგონებათა წიგნი - სხვადასხვა ეპოქისა და ერის უცნაო-ნათლებულეს პიროვნებათა ნაფიქრალ-ნაზრევო, მაცისმა, სენტენცია, დაკვირვება, რჩევა, დახასიათება, დალოცვა, გაფრთხილება, ანდაზა, კიდევ ბევრი სხვა რამ ნიშანდობლივი და საგულისხმო ადამიანზე. და აი, კეთილი ხალხის დახმარებით, კორნელი კინწურაშვილმა გამოსცა კიდევ ეს კრებული სათაურით - „შემოწმების“, რომელიც, როგორც ქართველების, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოღვაწეთა ნაფიქრალ-ნააზრევო, ვინც დაინტერესდება.

რეეს, საუკუნოვან გამოცდილებას ეფუძნება და ეძღვნება ისეთ თემებს, რომელთა გათვალისწინება სადღეისოდ და სამომავლოდ ასე საშურია ცხოვრების უკეთ წარმოჩენისთვის. წიგნიც გადმოცემული მოსაზრებები, როგორც აღვნიშნეთ, უმთავრესად ემყარება საარქივო მასალას - კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისა და გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის ფონდებს, უურუნალ-გაზეთებსა და პერიოდულ გამოცემებს.

და ჩვენს წინაშეა ძალზე საინტერესო კრებული, რომელშიც უამრავ ჭკუისსასწავლებელ რჩევადარიცხებას ამოიკითხავს ყველა, ვინც დაინტერესდება.



დაინტერესება კი, იცოცხლო, ექნება ამ გამოცემას.

ვილან ბარდალივილი

ინფორმაცია

შს-მ მკვლელობის ფაქტი გახსნა

შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1963 წელს დაბადებული ზურაბ გ. დამამიძეზე გარემოებაში განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დააკავებულმა 12 მაისს, დაახლოებით 23:00 სთ-ზე, ლისის ტბის დასახლებაში, ურთიერთშელაპარაკებისას, 1976 წელს დაბადებულ ელვარდ მ-ს და 1975 წელს დაბადებულ იოსებ ქ-ს ცეცხლსასროლი იარაღით მრავლობითი სასიკვდილო ჭრილობა მიადგინა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. დაჭრილები მიყენებული მძიმე ჭრილობების შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალნენ. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას დანაშაულის ჩადენის იარაღები - „ბერეტა“-ს და „ტე-ტე“-ს სისტემის 2 პისტოლეტი და საბრძოლო ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება დამამიძეზე გარემოებაში ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 109-ე მუხლით).

სამართალდამცველებმა კრედიტის უკანონოდ მიღების ფაქტი გახსნეს. შსს-ს ინფორმაციით, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მე-

რე მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში, ფოთში, ზუგდიდსა და ქარელში ჩატარებული ოპერატიული-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, კრედიტის უკანონოდ მიღების ბრალდებით ექვსი პირი დააკავეს. დაკავებულები არიან: 1963 წელს დაბადებული ემზარ ა, 1990 წელს დაბადებული მამუკა გ, 1972 წელს დაბადებული ანჟელა ბ, 1980 წელს დაბადებული ლაშა მ, 1990 წელს დაბადებული ავთანდილ ბ. და 1990 წელს დაბადებული თინათინ გ, სოლო კრედიტის უკანონოდ მიღების დახმარებაში ამხილეს და ბრალი წარუდგინეს: 1975 წელს დაბადებული ტარიელ ა-ს და 1982 წელს დაბადებული ირაკლი თ-ს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა 2013 წლის დეკემბრიდან 2014 წლის აპრილამდე თბილისში, ბანკ „რესპუბლიკის“ სხვადასხვა ფილიალებს სამომხმარებლო სესხების მიღებისთვის განაცხადებით ინდივიდუალურად მიმართეს. მათ სესხისთვის საჭირო სხვა დოკუმენტებთან ერთად წარადგინეს სხვადასხვა კომპანიის სახელით დამზადებული ყალბი სამსახურბრივი ცნობები მათ მიერ დაკავებულ თანამდებობისა და ყოველთვიური ანაზღაურების შესახებ. ასევე წარმოადგინეს ყალბი საბანკო ამონაწერები სახელფასო ანგარიშების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე ბანკ „რესპუბლიკას“ და დაკავებულებს შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულებები, რის საფუძველზეც გაცემული კრედიტების სახით ბანკ „რესპუბლიკასთვის“ მიყენებულმა ზარალმა ჯამში 99 900 ლარი შეადგინა.

აბელ გეგია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაცვალება უახლოესი მეგობარი, ცნობილი მწერებელი ბივი კვიციანი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. გიორგი გოგოლაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უძვირფასესი მეგობრის, ბრწყინვალე პიროვნების, დიდი მწერების, თბილისის კოლორიტის ბივი კვიციანის. გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის მრავალრიცხოვან ოჯახს. გიორგი თვალაგაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მწუხარებელთა პატრიარქის, აკადემიკოს ბივი კვიციანის. გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს. გია გაგუნაშვილი, თეიმურაზ ანდრიაძე, ოთარ წეროძე, ანდერკინ კობლაძე უსამძიმრებენ ოჯახს ბივი კვიციანის. გარდაცვალების გამო. ნათელა ვასაძე, ნელი გურგენიძე, ლია ლომიძე, ნათელა ლომიძე, დალი ბოჯგუა, ლამარა გაგუა, ნანა კეცხოველი, მადონა მგელაძე, ცისანა ჩინლაძე, ბელა მაცაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან თვალსაჩინო დასტაქტის, ლირსული მამულიშვილის იოსებ (ბიჭი) გაჭავარძლის. გარდაცვალებას და გულწრფელად თანაუგრძნობენ თამილას, იამზეს და მათი ოჯახის წევრებს.

ინფორმაცია

ამსია პარლამენტთან

მუთაისში, პარლამენტთან მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის წევრებმა საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით კანონპროექტის დროულად მიღებას ითხოვენ. „ქვეყანაში უკანონო მოსმენები ისევ მიმდინარეობს, რაც ადამიანის უფლებების დარღვევად ითვლება. აუცილებელია პარლამენტმა დროულად მიიღოს ეს კანონი და ამიტომ ვითხოვთ ეკა ბესელიასთან შეხვედრას“, - განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ. აქციის მონაწილეები მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, შიმშილობის დაწყებას არ გამოირიცხებენ.

„დამიბრუნეთ დაკარგული ჯანმრთელობა!“

მუთაისის პარლამენტის შენობასთან მოქალაქემ თვითდაზიანება მიიყენა. ვალტერ როგავამ ხელი გადაიჭრა. როგორც ველტერ როგავა აღნიშნავს, 2011 წელს ქუთაისის მეორე სასჯელაღსრულებლის დანესებულებაში იხდიდა სასჯელს, სადაც ფიზიკურად გაუსწორდნენ. ამის შემდეგ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. როგორც როგავამ აღნიშნა, ის პირველი ჯგუფის ინვალიდია. - მას შემდეგ, რაც ციხეში ფიზიკურად გამისწორდნენ, სიარული ნორმალურად არ შემოიღია. პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ და მჭირდება მკურნალობა, ამიტომ ვითხოვ ხელისუფლებისგან დახმარებას, - აღნიშნა როგავამ ჟურნალისტებთან როგავა აცხადებს, რომ დავით უსუფაშვილთან შეხვედრას ითხოვს, რათა „მას დაკარგული ჯანმრთელობა დაუბრუნონ“.

ისრაელის ყოფილ პრემიერ-მინისტრს პატივით მიუსაჯეს

ისრაელის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ეჟუდ ოლმერტს თელ-ავივის სასამართლომ ქრთამის აღების გამო, 6 წლით პატიმრობა მიუსაჯა. „ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, სასამართლომ ეჟუდ ოლმერტი 289 ათასი დოლარით დააჯარიმა. ამასთან, მარტში, თელ-ავივის საოლქო სასამართლომ ქვეყნის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბრალი წაუყენა იერუსალიმის მერობის დროს, ერთ-ერთი ბიზნესმენისგან 500 ათასი შეკვლის ოდენობით ქრთამის აღების გამო. ეჟუდ ოლმერტი ისრაელის პრემიერი 2006-2009 წლებში იყო. მან თანამდებობა კორუფციაში ბრალდების გამო დატოვა.

გვემევა ახალი სამთო კურორტი

ბაკურიანი-მიტარბის ტერიტორიაზე კომპანია „ჯიარდისი საერთაშორისო სამთო კურორტის პროექტის განხორციელებას იწყებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“, „ჯიარდისი ჯგუფიდან“ აცნობეს, „ჯიარდისი ჯგუფის“ პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე და საზოგადოება „ორექს ლუაზის“ (საფრანგეთი) პრეზიდენტი ფილიპ ლებრასარი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს გააფორმებენ. მემორანდუმის მიზანია ბაკურიანი-მიტარბის ტერიტორიაზე საერთაშორისო სტანდარტების სამთო სათხილამურო საკურორტო ზონის შექმნა.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 29 9-62-77; 599 32-85-76.

ღვთისმშობლის

თამარობას ბილოცავთ!

14 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღესპნა ანთლობს კეთილ-მორწმუნე მეფე თამარის სსენებას. მეფე თამარი იყო ბაგრატიონთა შორის გამორჩეული გვირ-გვინოსანი, იბერიის მნათობი, დედოფალთა-დე-დოფალი, მზეთა-მზე, შარავანდედთა შორის უმე-ტესად აღმობრწყინებული, მენელსაცხებლე დე-დათა ცხოვრებას მიმსგავსებული...



...ღვთივკურთხეული თამარ მეფე ბრძოლის წინ ქართველ მხედრობას მარიამ ღვთისმშობელს ავედ-რებდა. მისი მეფობის დროს ქართველებმა უამრავი ომი მოიგეს. ლაშქარს ფეხშიშველი უძლოდა. ღმერ-თი შეისმენდა მის ცრემლიან ვედრებას და...

თამარ მეფემ ააშენა კლდეში ნაკვეთი ვარძია, ქვაბთახევი, ბეთანია... მან გაამდიდრა საქარ-თველოს ფარგლებს გარეთ მდებარე ეკლესია-მო-ნასტრები, ლავრები და საკანეები.

...სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრი-არქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II თაოსნობით საფრანგეთში თამარ მეფის სსენების დღეს გახსნილი ქართული ტაძარი ამი-ერიდან საქართველოს იურისდიქციაშია შესული.

...თამარობასთან დაკავშირებით საქართვე-ლოს მასშტაბით უამრავი ღონისძიება ტარდება: გამოფენაა ხელნაწერთა ინსტიტუტში, სამრევე-ლო სკოლები უმასპინძლებენ სტუმრებს, ასევე ბიბლიოთეკები ატარებენ საღამოებს.

აღსანიშნავია ათონელი მამების მიერ შესრუ-ლებული თამარ მეფის ხატის ყოვლადწმინდა სა-მების ტაძრისთვის შეწირვა.

თამარ მეფის სსენების დღეს განსაკუთრებუ-ლი ზეიმიტ ხვდებიან დიდუბის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში, სადაც ჩრდილო-ეთის კედლიდან უწმინდესისა და უნეტარესის ილია II მიერ შესრულებული მეფე თამარის ფრესკა „გული გონიერის“ მქონე წმინდანის სახე აგრერიგად ამშვენებს მას.

P. S. წმინდა მეფის ყველა მოსახელე თამარს ვუ-ლოცავთ თამარობას.

ბიული ლიპარტია

მცირე ენციკლოპედია

ჭარბ სითბოს პრიდეთ

ბამთბარი და-საჯდომიანი ავ-ტომანქანიტ დი-დი ხნის მანძილზე მგზავრობა მამა-კაცის ჯანმრთე-ლობისთვის ზიან-ნის მომტანია.



გ ე რ მ ა ნ ე ლ უროლოგთა აზ-რით, ასეთი ავ-ტომანქანიტ მძღოლს შესაძ-ლოა სპერმის ხარისხი გაუუარესდეს. საქმე ისაა, რომ მა-მაკაცის სასქესო ორგანოთა ნორმალური ტემპერატურა ცელსიუსის 35 გრადუსია, გათბობიან დასაჯდომებზე კი ტემ-პერატურა 38 გრადუსამდე იწვეს. ამდენად, მედიკოსები მა-მაკაცებს ამ ტიპის დასაჯდომებით რაც შეიძლება ნაკლე-ბად სარგებლობას ურჩევენ.

მავნა ბავრი ჯდომა. მავნა!..

თბნამდროშე ადამიანის ერთ-ერთი მეტად ძნელად და-სადღევი პრობლემა ცხოვრების მჯდომარე წესია. ერთი შეხედ-ვით განა რაა - ოფისში მუშაობა ნომ დიდად ძნელი არ არის! მართალია, ფიზიკურად ძნელი არაა, სამაგიეროდ, უაღრესად ვერაგი - მისი შედეგებია იშიაზი, ვარიკოზი, ბუასილი...

მათ შორის, კერძოდ, იშიაზს ხშირად ზედმეტად მაღალ, ან მეტად დაბალ სკამზე ჯდომა იწვევს. შედეგად, საჯდო-მის ნერვი იჭყლიტება და ძლიერი ტკივილი წარმოიშევა. გარდა ამისა, იშიაზი შეიძლება გამოიწვიოს, მაგალითად, შარვლის უკანა ჯიბეში საფულის ან მობილური ტელეფონ-ის ტარებამ: თუკი რალაც საგნებს უკანა ჯიბით ატარებთ და ზედ აჯდებით, ამ დროს საჯდომის ნერვის მიჭყლეტა-სა და დაზიანებას პროვოცირებთ.

ამდენად, უსიამოვნებისგან თავის ასარიდებლად, ეცადეთ სწორად შეარჩიოთ სკამის სიმაღლე - ფეხები იატაკს უნ-და ეხებოდეს და წვივის, მუხლისა და თეძოს სახსრებში მარ-თი კუთხით უნდა იყოს მოღუნული. თუკი შარვლის (გნებავთ



ქვედაბოლოს) უკანა ჯიბით საფულებს, ან მობილურ ტელე-ფონს ატარებთ, დაჯდომამდე ისინი აუცილებლად ამოიღეთ.

ხანგრძლივი ჯდომა ასევე ქვედა კიდურების ვენების ვა-რიკოზულ გაფართოებას იწვევს. ვენებს საკუთარი სარქ-ველები აქვთ, რომელთა წყალობით სისხლი ხან ქვევით ჩადის, ხან ზევით ადის. ხანგრძლივი ჯდომა ვენების გაგანიერებასა და სარქველე-ბის მუშაობის მოშლასა და სისხლნაკადის გა-უარესებას იწვევს: სარქველები კედლებს მჭიდ-როდ აღარ ეკვრიან და სისხლი ქვევით ჩადის.

ამის თავიდან ასაცილებლად საათში ერთხელ 10 წუთის მანძილზე იარეთ; მაგიდასთან ჯდო-მისას ტერფები აამუშავეთ; ფეხის წვერები აწი-ეთ და დაწიეთ ორი წუთის განმავლობაში. ეს ვარჯიში კუნთებს ამუშავებს, რის შედეგად ფეხებში სისხლის მიმოქცევა უმჯობესდება.

მეტად უსიამო დაავადებაა ბუასილი - ესაა სწორი ნაწლავის სისხლძარღვთა ვარიკოზუ-ლი გაფართოება და ისიც შეიძლება ხანგრძლი-ვი ჯდომის შედეგად წარმოიშევეს. ბუასილი

სისხლძარღვებთან სისხლის გადინებითაა გამოწვეული. ხან-გრძლივი ჯდომის დროს სისხლი სწორი ნაწლავის ვენებ-ში დგება, მათი კედლები ფართოვდება და დეფორმირდება. შედეგად ბუასილური კვანძები, სისხლით სავსე პარკები წარ-მოიშევა.

ბუასილს შესაძლებლობისდაგვარად თავი რომ დააღწიოთ, ეცადეთ საათში 10-15 წუთი გაიარ-გამოიაროთ, შეასრულეთ დუნდულების ვარჯიში - დაძაბეთ და მოადუნეთ ისინი, რაც სწორი ნაწლავის არეში სისხლის მიმოქცევას შეუწყობს ხელს. ანდა სკამზე ჯდომისას ფეხები იატაკზე გადაჯვარე-ბინეთ და წინ ისე გადაიხარეთ, რომ მკერდით მუხლებს შეეხეთ.

საუზამ... იუპიის წინააღმდეგ

დილით საუზამე აუცილებელი რომაა, ამას ბავშვობიდან-ვე გვიჩინებდნენ მშობლები და ბებია-ბაბუები. ამ დარბების მართებულობა მეცნიერებმაც დაადასტურეს.



ამერიკის შვერთებული შტატების ჰარვარდის უნივერსი-ტეტის სპეციალისტებმა 16-წლიანი კვლევის შედეგები და-აჯამეს და გაიკვია, რომ იმ მამაკაცებში, ვინც დილაობით არ საუზამობს, გულის იშემიური დაავადებით დასნეულების ალბათობა სხვებთან შედარებით 27 პროცენტით მაღალია. ასევე აღმოჩნდა, რომ მათ შორის, ვინც დილაობით არ სა-უზამობს, გაცილებით მეტი თამბაქოს მწვეველია.

ჯანსაღი იარის უსანარჩუნებლად

ადამიანის ყვე-ლაზე დიდ ორგა-ნოს - კანს თავისე-ბური კვება სჭირ-დება.



ბევრი კვლევის შედეგად მეცნიე-რები იმ დასკვნამ-დე მივიდნენ, რომ ახალგაზრდული და ჯანსაღი კანის შესანარჩუნებ-ლად ყველაზე კარგი ხერხია სწორი კვება. კანი მაშინ შრება და უხეშდება, როცა რაცი-ონში A, B, C და E ვიტამინების ნაკლებობაა. ამიტომაც სა-ჭიროა მათი შემცველი ხილისა და ბოსტნეულის მეტი დო-ზით მიღება.

კაღრი



ცინცხალი ანკლოტავი

- ომდილი ყვავილები ახალგაზრდავ, იყიდეთ თაიგული თქვენი მეუღლისთვის!
- უცოლო ვარ.
- მაშინ შეყვარებულისთვის იყიდეთ!
- არც შეყვარებულ არა მყავს.
- მაშინ იმის აღსანიშნავად იყიდეთ, რომ ასეთი ბედნიერი და უდარდელი ცხოვრება გაქვთ!



რუმორც იქნა დაერევე მერის მისაღებში და ვკითხე, საით მიდის ჩვენი ქალაქი და მთელი ქვეყანა-მეთქი.

ვერჯერობით მხოლოდ იმაზე მიბასუნეს, საით მივდივარ და უნდა წავიდე კონკრეტულად მე.

- მიშვილით! მალუბატიურებენ! - ყვირის ქალი.
- ნუ ყვირი, სულელი! ამას სხვათა დაუხმარებ-ლადაც შევძლებ.

- რამდენი კოვზი შაქარი ჩაგიყარო, სუთი თუ ექვსი? - ეკითხება აბრამი მოშეს.
- სამი, ოღონდ ისე, რომ მე დაგინახო!

- წითილი თევზი გაქვთ? - ეკითხება ტიბი მა-ლაზიის გამყიდველს.
- კი. კილკა ტომატის სოუსში.

საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი, ბ. ბსვლიძის (მრფილი) პერმისიის) d. 19, ISSN 2233-3851, მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86, პასუხისმგებელი რედაქტორები: ბურაბ გომიგაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; საბრტაქ მოგუშია 599 36-00-35, პასუხისმგებელი მდივანი მამუკა მამუკიძე 514 33-33-24